საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 92 (2205) ოთხშაბათი, 15 მაისი, 1996 წელი. ფასი 30, თბილისის გარეთ 35 თეთრი

წარსული — აწმყოს, აწმყო კი მომავალს



ედუარდ შევარდნაძე და ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანი.

ედუარდ შევარდნაძე და სულეიმან დემირელი.

გულთბილი შეხვედრები ირანში.



ქ. მეშჰედი. რკინიგზის სადგურის ბაქანთან.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვიზიტი

ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის იდეა რეალური ხდება. ამის დამაჯერებელი დადასტურებაა, როგორც ევროპის, ისე აზიის ბევრი ქვეყნის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები. ორი კონტინენტის შემაერთებელი განშტოებული სატრანსპორტო ქსელის გაყვანა მათ მიაჩნიათ „დიდი აბრეშუმის გზის“ აღორძინების, ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებისა და გაღრმავების რეალურ შესაძლებლობად, ფაქტორად, რომელიც აახლოებს ხალხებს მათივე კეთილდღეობისათვის. აბრეშუმის გზის — ოდესღაც მსოფლიოს მთავარი კომერციული არტერიის აღდგენით ისინი თითქოს უკავშირებენ წარსულს — აწმყოს, აწმყოს კი მომავალს.

და ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული როლი განეკუთვნება მეშჰედ-სარახს-თეჯენის ახალ სარკინიგზო ხაზს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ირანისა და თურქმენეთის ფოლადის მაგისტრალებს. მისი საზეიმო გახსნის ცერემონია 12-13 მაისს გაიმართა აქ აზიისა და ევროპის 36 ქვეყნის წარმომადგენლობითი დელეგაციების მონაწილეობით. საგულისხმოა, რომ მათგან 12 დელეგაციას მეთაურობდნენ პირველი პირები — ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების — ირანის, თურქეთის, პაკისტანის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, ავღანეთის, აგრეთვე, საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტები. და უკვე თავად ეს ფაქტი იმ უდიდესი დაინტერესების დასტურია, რომელსაც ცენტრალური აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნები იჩენენ ამ პროექტის რეალიზაციისადმი, რომელიც შეაერთებს მათს სატრანსპორტო არტერიებს გარე სამყაროში გასასვლელად, როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ასევე სამხრეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით.

ეს მკაფიოდ გამოვლინდა საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის სამუშაო განაწესშიც. ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის გაყვანის მისეული იდეა, რომელიც სამი-ოთხი წლის წინათ ბევრისათვის რეალობისაგან ძალიან შორს იყო, ამჟამად პრაქტიკულად ისხამს ხორცს. შემთხვევითი არ არის, რომ ამ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების უაღრესად ფართო სპექტრმა განსაზღვრა სწორედ საქართველოს მეთაურის მიერ გამართული შეხვედრებისა და საუბრების შინაარსი. ასეთი შეხვედრები და საუბრები გაიმართა, როგორც ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტთან ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანისთან და თურქმენეთის პრეზიდენტთან საფარმურატ ნიაზოვთან, ასევე სხვა ქვეყნების ხელმძღვანელებთანაც. კონსტრუქციული იყო დიალოგები პრეზიდენტებთან: აზერბაიჯანისა — ჰეიდარ ალიევთან, ყაზახეთისა — ნურსულთან ნაზარბაევთან, უზბეკეთისა — ისლამ ქარიმოვთან, თურქეთისა — სულეიმან დემირელთან, სომხეთისა — ლევონ ტერ-პეტროსიანთან, ტაჯიკეთისა — ემამოლი რახმონოვთან, ყირგიზეთისა — აკა აკაევთან, პაკისტანისა — ფარუხ ახმედ ხან ლეგარისთან, ავღანეთისა — რაბანისთან. ფრიად მნიშვნელოვანი იყო საუბრებიც რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის ვიცე-პრემიერებთან ალექსი ბოლშაკოვთან და პავლე ლაზარენკოსთან, სხვა დელეგაციათა მეთაურებთან. ყოველი ამ შეხვედრის დროს განიხილებოდა ორმხრივ ურთიერთობათა შემდგომი განვითარების კონკრეტული ასპექტები, აქტუალური რეგიონალური და საერთაშორისო პრობლემები. იმავდროულად თავიანთ საზღვარგარეთელ კოლეგებს ხვდებოდნენ და ესაუბრებოდნენ საქართველოს დელეგაციის წევრები — სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე მერაბ ადეიშვილი, ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის მინისტრი კონსტანტინე ზალდასტანიშვილი, საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის უფროსი, ქვეყნის პრეზიდენტთან არსებული საკოორდინაციო სატრანსპორტო საბჭოს ხელმძღვანელი აკაკი ჩხაიძე, რესპუბლიკის სხვა სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლები.

13 მაისს დილიდან საქართველოს პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები მონაწილეობდნენ ორი მეზობელი რესპუბლიკის დამაკავშირებელი რკინიგზის ხაზის გახსნის საზეიმო ცერემონიაში. ეს ხაზი გაგრძელებაა შარშან საექსპლოატაციოდ გადაცემული 700-კილომეტრიანი ბაფყ-ბანდარ აბასის რკინიგზის მაგისტრალისა, რომელმაც ირანი დააკავშირა სპარსეთის ყურის უდიდეს ნავსადგურთან. ტრასის ახალმა შტომ კი, რომლის სიგრძე 160 კილომეტრია, მეშჰედიდან სარახსამდე — ირანში და 130 კილომეტრი — სარახსიდან თეჯენამდე — თურქმენეთში, პრაქტიკულად ამ დიდმნიშვნელოვან სატრანსპორტო არტერიასთან შეაერთა რუსეთი, შუა აზიის ქვეყნები და ჩინეთი. ამასთანავე, ამიერკავკასიის რკინიგზის ქსელთან კავშირი საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს უსახავს პერსპექტივას სპარსეთის ყურის ნავსადგურების მეშვეობით მოაგვაროს სატრანსპორტო ურთიერთობა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან. სხვათა შორის, ირანშიც და თურქმენეთშიც მადლიერებით იხსენებენ იმას, რომ ტრანსაზიური რკინიგზის ეს მონაკვეთი დააპროექტეს თბილისის „კავგიპროტრანსის“ ინსტიტუტის სპეციალისტებმა, თანაც, ექსპერტთა შეფასებით, მათ მიერ შემუშავებული ტექნიკური პროექტი ისეთ მაღალ დონეზე იყო შესრულებული, რომ მშენებლები მაშინვე შეუდგნენ მის რეალიზაციას.

მეშჰედ-სარახს-თეჯენის სარკინიგზო ხაზის საექსპლოატაციოდ გადაცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, იმიტომაც, რომ იგი ხდება, შეიძლება ითქვას, გრანდიოზული პროექტის კიდევ ერთი რგოლი. აქ იგულისხმება სარახსის თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის იდეა, რომელმაც უნდა შეასრულოს აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი დერეფნის როლი. ამ პროექტის თანახმად, ირანის ქალაქ სარახსში, სადაც მეშჰედიდან ჩამოვიდნენ ზეიმის მონაწილეები, და მის ირგვლივ იქმნება თანამედროვე ინფრასტრუქტურა, იმ დღეს აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა „ალმასას“ საერთაშორისო აეროპორტი და რკინიგზის ვაგზალი, თავისუფალი ვაჭრობის ცენტრი, რომელიც, მისი შემქმნელების ჩანაფიქრით, ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს დააკავშირებს სპარსეთის ყურესთან, ამიერკავკასიასა და ევროპასთან. ამ მიზნით, „ზონას“ ექნება თავისი სატელიტური ცენტრები სხვადასხვა რეგიონში. ირანის უდიდეს პოტენციურ შესაძლებლობებს კი მოწმობდა აქვე, სარახსში, გიგანტური მრავალთაღოვანი კარვის ქვეშ გახსნილი ამ ქვეყნის ნაწარმის გამოფენა, რომელიც დიდი მოთხოვნით სარგებლობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

მასპინძლებმა და სტუმრებმა ფართოდ და საზეიმოდ აღნიშნეს თავისუფალი ეკონომიკური ზონის გახსნა. დამსწრეთ გულთბილი მისასალმებელი სიტყვებით მიმართა აიათოლა ჰამენეის რწმუნებულმა ხორასანში აიათოლა ვაის თაბასიმ. ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანი და თურქმენეთის პრეზიდენტი საფარმურატ ნიაზოვი, სხვა ორატორები აღნიშნავდნენ, რომ სარახსის თავისუფალი ზონა გახდება მნიშვნელოვანი რგოლი აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის საერთაშორისო ვაჭრობის გზაჯვარედინზე, იგი სახავს კარგ პერსპექტივას რეგიონის ყველა ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური განვითარებისა და მათ შორის, კავშირურთიერთობის გაფართოების საქმეში. კერძოდ, როგორც ცნობილი გახდა, ამ პროექტში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საქართველოც. ჯერ კიდევ შარშან, შემოდგომაზე, შეიქმნა საქართველო-ირანის ერთობლივი კომპანია „სარახს-ბურჯი“, რომლის საწესდებო ფონდი 20 მილიონ ლარს შეადგენს. ამ კომპანიის საქმიანობის სფეროში შედის სრულიად განსხვავებული ობიექტების, მათ შორის, რკინიგზებისა და საავტომობილო ტრასების, ხიდების, გვირაბების, საცხოვრებელი სახლების დაპროექტება და მშენებლობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და გადამუშავება, სავაჭრო გარიგებანი სამრეწველო და ფართო მოხმარების საქონლით, საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციები. ამ ცოტა ხნის წინათ, საქართველოს ეწვივნენ კომპანიის დირექტორთა საბჭოს წარმომადგენლები, რომელთა ვიზიტის დროს განიხილეს ქართული ტექნოლოგიით მეშჰედსა და სარახსში საცხოვრებელი სახლების, აგრეთვე, მეშჰედ-სარახსის საავტომობილო გზისა და სხვა ობიექტების მშენებლობის ერთობლივი პროექტები. სხვათა შორის, „სარახს-ბურჯის“ კომპანია აპირებს იქონიოს საკუთარი ტერმინალი, როგორც ირანში, ისე საქართველოში, კერძოდ, ფოთში, საავტომობილო და სარკინიგზო ტვირთზიდვის მომსახურებისათვის. ამ მიზნით, მიმდინარე წლის აპრილში ფოთში იმყოფებოდა კომპანიის ექსპერტთა ჯგუფი. მათ შეარჩიეს ტერმინალის მშენებლობისათვის ტერიტორია, რომელიც ეკუთვნის „საქგვირაბმშენის“ საწარმოო ფირმას — „სარახს-ბურჯის“ ერთობლივი საწარმოს დამფუძნებელს.

ნაშუადღევს, ზეიმმა ირანიდან თურქმენეთის ქალაქ სარახსში გადაინაცვლა, სადაც მისმა მონაწილეებმა იმოგზაურეს ახალი რკინიგზით. მდინარე თეჯენზე გადებულ სასაზღვრო ხიდზე გაიმართა სატრანზიტო მაგისტრალის ამ უბნის გახსნის ცერემონია. 12 სახელმწიფოს პრეზი-

(დასასრული მე-2 გვ.)

კონტროლის პალატა — პარლამენტი

11 მაისს გაიმართა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის საკომიტეტო მოსმენა, რომლის მიზანი იყო საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის შესწავლა.

ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ გააკეთა კონტროლის პალატის თავმჯდომარემ რევაზ შავიშვილმა. მან აღნიშნა, რომ უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესი მძიმე პირობებში ხდებოდა. ახლა შეიძლება ითქვას, რომ კონტროლის პალატა ფაქტობრივად ჩამოყალიბებულია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თვითშემოწმებისა და რეორგანიზაციის პროცესი დღესაც მიმდინარეობს.

კონტროლის პალატის თანამშრომელთა უმთავრესი სატკივარი გეგმებია. ზოგიერთის აზრით საჭიროა ამუშავდეს კონტროლის მოულოდნელობის პრინციპი, ზოგს კი მიაჩნია, რომ შემოწმება უნდა იყოს ღია და გახსნილი, მაგრამ აქ ერთი საკითხიც არის გასათვალისწინებელი. კონტროლის პალატას უჭირს გეგმების შესრულება, და ამის უმთავრეს ხელშემშლელ ფაქტორად ასახელებენ იმას, რომ პალატის თანამშრომლები დღესაც დიდ დროს ხარჯავენ სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობაში. მარტო 1995 წელს კონტროლის პალატის ცენტრალურმა აპარატმა შეამოწმა 1002 ორგანიზაცია, რომელთაგან 600-ზე მეტი შემოწმდა არაგეგმიურად, ანუ უშიშროების სამსახურის, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სხვა სამართალდამცავი ორგანოების თხოვნით. ასეთ პირობებში გეგმის შესრულება 30-40 პროცენტს ზემოთ შეუძლებელია, აღნიშნა რევაზ შავიშვილმა. კონტროლის პალატის მუშაობის მნიშვნელოვან ხარვეზად მან დაასახელა ის ფაქტი, რომ წარმოუდგენლად გრძელდება შემოწმების ვადები, რომლის გამომწვევი ძირითადი მიზეზი ორგანიზაცია-დაწესებულებათა დიდ ნაწილში პრაქტიკულად ჩაშლილი საბუღალტრო აღრიცხვაა.

რაც შეეხება მომავალ საქმიანობას კონტროლის პალატის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ საჭიროა მუშაობის სრულყოფისა და ეფექტიანობის მექანიზმის შემუშავება, ერთიანი სახელმწიფო კონტროლის სისტემის შექმნა. იმის გამო, რომ დღეს საქართველოში წინასწარი კონტროლის არავითარი პირობები არ არსებობს, საჭიროა მიმდინარე კონტროლი მაინც აღდგეს. ყოველივე ამის განხორციელებაში პარლამენტის შესაბამის კომიტეტს შეუძლია კონტროლის პალატას დიდი დახმარება აღმოუჩინოს, მიუხედავად იმისა, რომ გარდა კონსტიტუციით განსაზღვრული სამი შემთხვევისა, კონტროლის პალატა თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მისმა თავმჯდომარემ პარლამენტარებს თანამშრომლობა შესთავაზა. ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებები მათ შესრულებას გააადვილებს, განაცხადა მან.

საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის ანალიზი გააკეთა პარლამენტის ბიუჯეტის კონტროლისა და ხაზინის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ გივი კომახიძემ.

საკომიტეტო მოსმენაზე მრავალი საკითხი დაისვა, მათ შორის — კონტროლის პალატის მიერ სამართალდამცავ ორგანოთა თხოვნით ობიექტთა შემოწმების სამართლიანობის და მიზანშეწონილობის, პალატის თანამშრომელთა მუშაობის ანაზღაურების ახალი ფორმების გამოძებნის, სისტემის შემდგომი სრულყოფის შესახებ. ახალმა ცხოვრებამ კონტროლის პალატასაც ახალი ამოცანები დაუსახა. გამოითქვა მოსაზრება, რომ საჭიროა მუშაობის ფორმების, მეთოდების შეცვლა. შესაქმნელია საკანონმდებლო ბაზაც, ვინაიდან 1993 წელს მიღებული კანონი კონტროლის პალატის საქმიანობის შესახებ აღარ შეესაბამება არსებულ რეალობას, რაც მთავარია ქვეყნის კონსტიტუციას. კვლავაც პრობლემად რჩება დარიცხული და ბიუჯეტში ჩარიცხული თანხების სხვაობა. მკაცრად უნდა განისაზღვროს სამსახურის ფუნქციები, მოსაგვარებელია კადრების მომზადების საკითხი. პრინციპულად დაისვა საკითხი რომ კონტროლის პალატამ უნდა შეამოწმოს მხოლოდ ის ობიექტები, რომლებიც გეგმით იქნება განსაზღვრული.

საბიუჯეტო მოსმენა შეაჯამა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა სიორაძემ.

საქინფორმი.

კანონი მოაწესრიგებს უცხოური ინვესტიციების ლიცენზირებას

14 მაისს გაიმართა საქართველოს პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომა.

უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ განიხილა კანონპროექტი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, რომელიც წარმოადგინა ეკონომიკური რეფორმებისა და პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ონოფრიშვილმა. ცვლილებები ეხება უცხოური ინვესტიციების სააგენტოს შექმნისა და ფუნქციონირების საკითხებს. უცხოური ინვესტიციების სააგენტო, რომელსაც უნდა განეხორციელებინა საზღვარგარეთული ინვესტიციების სახელმწიფოებრივი აღრიცხვა და ლიცენზირება, კანონის შესაბამისად საქართველოს მინისტრთა კაბინეტთან შეიქმნა. მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოს კონსტიტუციით აღმასრულებელი ხელისუფლების სრულიად ახალი მოდელი დაინერგა და გაუქმდა მინისტრთა კაბინეტი, ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებისათვის მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული უცხოური ინვესტიციების სააგენტოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს სტრუქტურაში მოქცევა.

პარლამენტმა კანონი მიიღო გამარტივებული წესით, მხედველობაში მიიღო რა ის ფაქტი, რომ სააგენტო, კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანამდე, არ არის უფლებამოსილი, გასცეს უცხოური ინვესტიციების ლიცენზიები, ამასთან, ათეულობით უცხოელ ინვესტორს საქართველოს ტერიტორიაზე უკვე შემოტანილი აქვს სხვადასხვა სახეობის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, რომლებიც ვერ კვეთენ საბაჟო საზღვარს, ფერხდება ქვეყნის ეკონომიკისათვის იმ მნიშვნელოვანი პროექტების რეალიზება, რომლებიც საზღვარგარეთელი ინვესტორების მონაწილეობას გულისხმობს. პარლამენტის დადგენილებით კანონი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ნაშუადღევს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მუშაობა განაგრძო.

განიხილეს მწვავე პრობლემები

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის 18 მაისის თათბირზე სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა კანცელარიის შესაბამისი სამსახურების ყურადღება მიაპყრო პარლამენტისათვის დასამტკიცებლად წარსადგენი კანონპროექტების მომზადება-განხილვის პროცესის სრულყოფის აუცილებლობას.

სახელმწიფო მინისტრმა განსაკუთრებული სიმწვავით დააყენა სერტიფიკაციის სამსახურის საქმიანობის გააქტიურების საკითხი და მოითხოვა რადიკალური ღონისძიებების განხორციელება, რათა თავიდან იქნეს აცილებული უხარისხო და ფალსიფიცირებული კვების პროდუქტების როგორც საზღვარგარეთიდან შემოტანა, ისე საქართველოში წარმოება.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ, როგორც პრესაში, ისე გარკვეულ წრეებში არასწორად შეფასდა საწვავზე ფასის მომატების ფაქტი და მის მიზეზად გადასახადების დაწესება მიიჩნიეს, სინამდვილეში, როგორც თათბირზე ითქვა, ბენზინის გაძვირება განაპირობა მსოფლიო ბაზარზე ფასის მომატებამ.

ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა თათბირის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო ელექტროენერგიის საფასურის გადახდის პრობლემას და აღნიშნა, რომ ამ საქმეში ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ქმედითი დახმარება უნდა აღმოუჩინონ ცენტრალურმა სამსახურებმა, საკითხის გადაწყვეტის მიზნით, კანცელარიის ეკონომიკურ სამსახურს დაევალა შეიმუშაოს ღონისძიებათა გეგმა.

თათბირზე განიხილეს პედაგოგთა ხელფასებთან დაკავშირებული საკითხი.

დელეგაცია ბათუმში

14 მაისს, ბათუმში ჩამოვიდა ქვეყნის სამთავრობო დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი. წარმომადგენლობითი დელეგაციის შემადგენლობაში არიან საქართველოს მინისტრები, დეპარტამენტებისა და კომიტეტების ხელმძღვანელები.

აჭარის მინისტრთა საბჭოში გაიმართა გაფართოებული სხდომა. სხდომის ყურადღების ცენტრში იყო საკითხები, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს, ვინაიდან ამუხრუჭებენ ეკონომიკის ჭეშმარიტი აღორძინების პროცესებს. უწინარეს ყოვლისა, ეს არის გაზსადენის, ნავთობსადენის, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის, ნავსადგურის პრობლემები და სხვ.

აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ სტუმრების ყურადღება მიაპყრო განსახილველი პრობლემების აქტუალურობას, მათი ოპერატიული და კომპეტენტური გადაჭრის საჭიროებას.

სამუშაო შეხვედრები გრძელდება.

საინფორმაციო სააგენტო „აღორძინება“.

საქართველოს ხელისუფლების კურსის მხარდაჭერა

18 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის ხელმძღვანელობით ქ. სტრასბურგში ევროპის საბჭოს შტაბ-ბინაში მიიღო ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა დანიელ ტარშისმა.

შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის სხდომაზე ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა გააკეთა მოხსენება საქართველოში არსებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის და საქართველოს და ევროპის საბჭოს შორის ურთიერთობის პერსპექტივების შესახებ, უპასუხა საგარეო საქმეთა მინისტრების პირადი წარმომადგენლების შეკითხვებს.

გაიმართა შეხვედრები პოლიტიკურ საქმეთა დირექტორთან ჰანს-პეტერ ფურერთან, საპარლამენტო ასამბლეის მდივანთან ბრუნო ჰალერთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მდივნის მოადგილესთან პოლ მაჰონისთან.

გამართულ შეხვედრებზე გამოიკვეთა საქართველოს ხელისუფლების დღევანდელი კურსის მხარდაჭერა, მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვის აუცილებლობა.

გერმანიაში გაიხსნება ქართული სამლოცველო

18 მაისს ჟენევას გაემგზავრა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე თანმხლებ პირებთან ერთად.

მისი უწმინდესობა შეხვდება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალურ მდივანს კონდრატ რაიზერს, ევროპის ეკლესიათა კონფერენციის გენერალურ მდივანს ჟან ფიშერს, წითელი ჯვრის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელობას, შვეიცარიაში არსებული საქართველოს ასოციაციის წევრებს, კონსტანტინეპოლის ეკლესიის წარმომადგენლებსა და სხვებს.

15-23 მაისს უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად ეწვევა გერმანიას. იგი შეხვდება, როგორც სასულიერო პირებს, ისე ქვეყნის ხელმძღვანელობას, გერმანიაში მცხოვრებ ქართველებს, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს. ვიზიტის ერთ-ერთი მიზანია მომზადდეს ნიადაგი გერმანიაში საქართველოს საელჩოსთან არსებული ქართული სამლოცველოს გასახსნელად.

თათბირი

მაკონტროლებელი სამსახურები და მეწარმეობა

ამ დღეებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით გაიმართა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების, დარგობრივი ეკონომიკის, საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტების თავმჯდომარეები, საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, კონტროლის პალატის, საგადასახადო ინსპექციისა და მეწარმეთა წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები.

განიხილეს საგადასახადო სისტემასა და საგადასახადო სამსახურების საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები.

„ქართველი მეწარმეები დღეს უმძიმეს პირობებში არიან, ვითარება დღითიდღე უარესდება და ამის მიზეზად თავად ისინი მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობას ასახელებენ“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ.

დეპუტატმა ზურაბ ნოღაიდელმა თავის გამოსვლაში რეალურად ასახა დღევანდელი სურათი. საწარმოებში შემოწმების მიზნით შედიან კონტროლის პალატის, სანეპიდსადგურის, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლები. მაკონტროლებელი ორგანოების შემოტევას ბოლო არ უჩანს, რაც ისედაც მკაცრი საგადასახადო სისტემის პირობებში მეწარმეთა მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს.

თათბირში მონაწილე მეწარმეებმა აღნიშნეს, რომ არსებული საგადასახადო განაკვეთების პარალელურად, საგადასახადო სამსახურები ბიზნესმენებისაგან მოითხოვენ სხვადასხვა ადმინისტრაციული სტრუქტურების მიერ დაწესებული გადასახადების გადახდას.

აღინიშნა, რომ გამოსაკვლევია ყველა იმ გადასახადის კანონიერება, რომელთაც მაკონტროლებელი სამსახურები არიცხავენ მეწარმეებს და იმ შემთხვევაში, თუ დარიცხული გადასახადი მოკლებულია კანონიერ საფუძველს, მკაცრად უნდა დაისვას ასეთი გადასახადის ამკრეფთა პასუხისმგებლობა.

თათბირზე იმსჯელეს ქვეყანაში იმპორტირებული საქონლის აღრიცხვის ლიცენზირებისა და სერტიფიცირების საკითხებზე. ითქვა, რომ სასაქონლო ბაზარზე კონტრაბანდის გზით ან დემპინგურ ფასებში ხშირად ხვდება უხარისხო პროდუქცია, რაც თავის მხრივ ქართველ მეწარმეებს კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით რთულ ვითარებაში აყენებს, ასეთ საქონელზე ფასი, როგორც წესი, გაუმართლებლად დაბალია.

საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ ანზორ ბალუაშვილმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ახლახან მიღებული კონსტიტუციის თანახმად ქვეყნის პრეზიდენტისა და პარლამენტის შესაბამისი დავალების გარეშე პროკურატურას ამა თუ იმ საწარმოში შესვლის უფლება არა აქვს. ბატონმა ანზორ ბალუაშვილმა გამოთქვა მოსაზრება მეწარმეთათვის მომზადდეს საინფორმაციო მასალები, სადაც ზუსტად იქნება განსაზღვრული პროკურატურის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები. ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

კონტროლის პალატის თავმჯდომარის რევაზ შავიშვილის აზრით უნდა შეიქმნას თანამედროვე საინფორმაციო ქსელი, რომელიც კომპიუტერული სისტემის მეშვეობით გააანალიზებს და გააკონტროლებს მეწარმეთა ფინანსურ და სამეურნეო საქმიანობას.

საქართველოს საგადასახადო სამსახურის ხელმძღვანელის დავით სალარიძის აზრით ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემა დახვეწას საჭიროებს, ხოლო საგადასახადო სამსახურის მოხელეები ვალდებულნი არიან იმოქმედონ არსებული კანონების ფარგლებში.

თათბირის შედეგები შეაჯამა პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ დაუშვებელია სხვადასხვა სახის კანონქვემდებარე აქტების დომინირება ძირითად კანონზე, ხოლო ისინი, ვინც ამ გზით განაგრძობენ ქვეყანაში საგადასახადო პოლიტიკის განხორციელებას, მკაცრად დაისჯებიან, დღევანდელი შეხვედრით, აღნიშნა მან, ამ საკითხზე მუშაობა არ არის დამთავრებული. ასეთივე თათბირი უახლოეს მომავალში საგადასახადო სამსახურში გაიმართება.

პარლამენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

მრეწველობა

შედეგი ყველასთვის სასარგებლო იქნება

ქვეყნის ეკონომიკის განვითარება წარმოუდგენელია მრეწველობის გამოუცოცხლებლად. დღევანდელი მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, საწარმოების უმრავლესობა ძილბურანიდან გამოსვლას ლამობს და რეალური მოქმედებისათვის ათასგვარ გზას ეძებს. მეტი კონკრეტულობა და საქმით დაინტერესება იგრძნობოდა ამ დღეებში ტაბახმელაში გამართულ მანქანათმშენებლობის სახელმწიფოთაშორისო საბჭოს მორიგ მეათე სხდომაზე.

საბჭო აერთიანებს დსთ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებს, აგრეთვე ბალტიისპირეთის, კუბისა და სერბიის რესპუბლიკებს.

სხდომამ ნაყოფიერად იმუშავა, მრავალი კონკრეტული საკითხის მოგვარებას ჩაეყარა საფუძველი. შემდგომი თანამშრომლობის გზით კვლავაც შესაძლებელია აღდგეს ის კავშირები, რაც ადრე იყო. მრეწველობის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვლადიმერ კერესელიძემ აღნიშნა: — ეს შეხვედრა დასტურია იმისა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ძველი გამოცდილების გაღრმავებას, რაც წლების მანძილზე არსებობდა და რაც მომავალშიც მოგვიტანს წარმატებას.

აზერბაიჯანის ეკონომიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნამიკ ნასრულდაევმა ხაზი გაუსვა ეკონომიკის საზღვრების გაფართოების, რესპუბლიკების მჭიდრო ურთიერთობის აღდგენისა და თანამშრომლობის აუცილებლობას.

რუსეთის ფედერაციის, სომხეთის, უკრაინის, ბელარუსის, რუმინეთის, ჩეხეთის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა ერთობლივად დასახეს მანქანათმშენებლობის შემდგომი განვითარების ღონისძიებები, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებებს, რომელთა განხორციელება ყველასათვის სასარგებლო იქნება.

ლალი ქინქლაძე.

1996 წლის 14 მაისს შედგა თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სესია, რომლის შედეგების მიხედვით განისაზღვრა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	1.0046	ლარი
ავსტრიული შილინგი	0.1177	ლარი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	1.9085	ლარი
10 ბელგიური ფრანკი	0.4027	ლარი
გერმანული მარკა	0.8275	ლარი
ჰოლანდიური გულდენი	0.7410	ლარი
დანიური კრონი	0.2145	ლარი
1000 იტალიური ლირა	0.8094	ლარი
კანადური დოლარი	0.9284	ლარი
ნორვეგიული კრონი	0.1925	ლარი
აშშ დოლარი	1.2600	ლარი
ფინური მარკა	0.2628	ლარი
ფრანგული ფრანკი	0.2447	ლარი
შვედური კრონი	0.1848	ლარი
შვეიცარული ფრანკი	1.0147	ლარი
10 იაპონური იენი	0.1199	ლარი
ეკიუ	1.5541	ლარი
10 ესპანური პესეტა	0.0998	ლარი
100 ბერძნული დრაჰმა	0.5199	ლარი
ირლანდიური გირვანქა	1.9705	ლარი
10 ისლანდიური კრონი	0.1882	ლარი
ქუვეითური დინარი	4.2028	ლარი
1000 ლიბანური გირვანქა	0.7984	ლარი
100 პორტუგალიური ესკუდო	0.8055	ლარი
სინგაპურული დოლარი	0.8978	ლარი
10 000 თურქული ლირა	0.1651	ლარი
ეგვიპტური გირვანქა	0.3714	ლარი
1000 რუსული რუბლი	0.2200	ლარი
ლიტვური ლიტი	0.2728	ლარი
ლატვიური ლატი	1.9876	ლარი
10 ესტონური კრონი	0.8958	ლარი
100 000 უკრაინული კარბოვანეცი	0.5066	ლარი
10 ყაზახური ტენგე	0.1651	ლარი
მოლდოვური ლეი	0.2421	ლარი
ყირგიზული სომი	0.0961	ლარი
10 000 ბელორუსული მანეთი	0.8646	ლარი
10 უზბეკური სუმი	0.2949	ლარი
1000 აზერბაიჯანული მანათი	0.2486	ლარი
100 სომხური დრამი	0.2697	ლარი

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა.

წარსული—აწმყოს, აწმყო კი მომავალს

(დასასრული)

დენტებმა, გადაჭრეს ალისფერი ლენტი, რომელიც ყოფდა ორ ქვეყანას, რის შემდეგაც, ჩაიარა პირველმა მატარებელმა დროშებიანი მხედრების ესკორტით, გადაკვეთა საზღვარი და გეზი თურქმენეთისაკენ აიღო. 20 წუთის შემდეგ იგი თურქმენეთის სარახსში ჩავიდა, რომელიც სტუმრებს გულთბილად და მხურვალედ შეეგება. ქალაქში აღმართულია რკინიგზის ვაგზლის ჩინებული შენობა. სიმბოლურია, რომ შეხვედრის ცერემონია დასრულდა საქართველოს, აზერბაიჯანს, თურქმენეთსა და უზბეკეთს შორის სატრანზიტო ტვირთზიდვის რეგულირების სფეროში თანამშრომლობისა და რკინიგზის ტრანსპორტის საქმიანობის კოორდინაციის შესახებ შეთანხმებათა ხელმოწერით, რომლებიც ამიერკავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის თვისებრივად ახალ ჰორიზონტებს სახავენ.

* * *

ირანსა და თურქმენეთში ვიზიტის დამთავრებისთანავე საქართველოს პრეზიდენტმა პირველი ინტერვიუ თანმხლებ ჟურნალისტებს მისცა:

— ხომ იცით, ეს ორი დღე იმდენად ჯოჯოხეთურად დატვირთული იყო, რომ ძნელია უცებ თავი მოუყარო და განაზოგადო შთაბეჭდილებები. — თქვა მან.

— ჩემი ვიზიტი გაპირობებული იყო იმით, რომ არაერთხელ მივიღე ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანის დაბეჯითებული თხოვნა, დავსწრებოდი მეშჰედ-სარახსი-თეჯენის რკინიგზის გახსნას და მონაწილეობა მიმეღო ამ ზეიმში. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ველაიათის სპეციალური ვიზიტი საქართველოში აგრეთვე ამასთან იყო დაკავშირებული.

ასეთივე თხოვნით არაერთხელ მომმართა საფარმურატ ნიაზოვმა. ვფიქრობ, სწორად მოვიქეცით როდესაც ამ მოვლენასთან დაკავშირებით საქართველოს სპეციალური დელეგაცია ირანსა და თურქმენეთში ჩავიდა.

თვით ამ ღონისძიების არსი არის ჩრდილოეთისა და სამხრეთის შემაერთებელი ძალიან მნიშვნელოვანი მაგისტრალის გახსნა, ცენტრალური აზიის, ირანისა და სხვა ქვეყნების სპარსეთის ყურის ქვეყნებთან, ამიერკავკასიასთან დაკავშირება. ამიერკავკასია განზე არ რჩება: ამოქმედდება სახმელეთო გზა, რომელიც გაივლის აზერბაიჯანზე, საქართველოზე, სომხეთზე და ასე შემდეგ. ისე რომ, ამიერკავკასიის ინტერესები გათვალისწინებული იქნება.

ამ რკინიგზის ამოქმედებით ევრაზიის დერეფანი, რომლის შესახებაც ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, უფრო გიგანტურ მასშტაბს იღებს. აქ მთავარია, კვლავ ხაზი მინდა გავუსვა, არა იმდენად აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ტრანსპორტირების ტვირთის ნაკადების გადაზიდვის აქცენტი, არამედ სამხრეთისა და ჩრდილოეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაკავშირება. ეს პრობლემა რომელიც ამ ქვეყნებს ასეული წლების მანძილზე აწუხებდა, მნიშვნელოვნად გადაიჭრება.

რაიმე წინააღმდეგობა ამ ტრანსკონტინენტურ მაგისტრალსა და იმ პროექტს შორის, რომელზეც ამას წინათ ევროკავშირში იყო ლაპარაკი და რომელსაც ტრანსეკის პროექტი ჰქვია, არ არის. — ასე უპასუხა ედუარდ შევარდნაძემ შეკითხვას — უპირისპირდება თუ არა ევროპა — აზიის დერეფნის ცნობილ ვარიანტს სამხრეთ-ჩრდილოეთის ტრანსკონტინენტური მიმართულება. პირიქით, ისინი ერთმანეთს ავსებს.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტს მნიშვნელოვანი შეხვედრები და საუბრები ჰქონდა მთელი რიგი ქვეყნების ხელმძღვანელებთან. ამ შეხვედრათა შეფასებისას ედუარდ შევარდნაძემ თქვა:

— ამ ორი დღის განმავლობაში სხვადასხვა პირობებში რამდენიმე საფუძვლიანი შეხვედრა იყო პრეზიდენტ რაფსანჯანისთან. ბუნებრივია, რომ ჩვენი საუბრების ძირითადი თემა იყო მდგომარეობა რეგიონში. ფართო მასშტაბით — კავკასია, ცენტრალური აზია, ირანი, სპარსეთის ყურე და უფრო შორსაც. საფუძვლიანად განვიხილეთ ორმხრივი ურთიერთობები და ერთგვარად შევაჯამეთ, თუ რა გაკეთდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა რაფსანჯანიმ მოინახულა საქართველო.

დეტალური განხილვის დროს ორივე მხარემ გარკვეული უკმაყოფილება გამოთქვით იმის გამო, რომ პრაქტიკული მუშაობა არ წარიმართა იმ დონეზე, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ჩვენი თანამშრომლობა ეკონომიკურ და სხვა სფეროებში უფრო ფართომასშტაბიანი და ინტენსიური გამხდარიყო. პრეზიდენტმა რაფსანჯანიმ დაავალა თავის სამსახურებს გადახედონ, როგორ სრულდება მისი დავალებები საქართველოსთან ურთიერთობის გაღრმავების თვალსაზრისით. დამახსოვრდა მისი ასეთი ფრაზა: ჩვენი ამოცანა ის არის, რომ ჩვენი ძალიან კარგი, მეგობრული ურთიერთობის დონემდე ავიყვანოთ ჩვენი თანამშრომლობა, თანამშრომლობა ეკონომიკაში, მეცნიერებაში, კულტურაში და ასე შემდეგ. მას არ დაუმალავს, რომ ირანს ძალიან აინტერესებს განავითაროს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა საქართველოსთან.

სხვათა შორის, განვიხილეთ ერთი პრობლემაც, რომელიც ჩვენ გვაწუხებს: 1994 წლის განმავლობაში გამოვიყენეთ ირანული გაზი და ფული, როგორც ყოველთვის, არ გადაგვიხდია. ეს, არც მეტი, არც ნაკლები, 12-13 მილიონი ამერიკული დოლარია. მე ვთხოვე პრეზიდენტს ამ ვალის რესტრუქტურიზაცია. მან მიპასუხა, რომ ჩვენი თანამშრომლობა იმდენად პერსპექტიულია და იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ასეთი პრობლემის დაყენება არ უნდა გჭირდებოდეთ, ასეთი საკითხები ავტომატურად უნდა წყდებოდეს. იმდენად იმედიანად ითქვა, რომ, ალბათ, ასეც გადაწყდება.

ხანგრძლივი საუბრები მქონდა თურქეთის პრეზიდენტ სულეიმან დემირელთან პირისპირ ოფიციალური შეხვედრის, ასევე, ამ მოგზაურობის დროს სხვადასხვა ვითარებაში შეხვედრებისას განვიხილეთ მრავალი თემა, ისეთი როგორიც არის მდგომარეობა კავკასიაში, ჩვენი ინიციატივა „მშვიდობიანი კავკასია“, რომელსაც, მოგეხსენებათ, პრეზიდენტმა დემირელმა აქტიურად დაუჭირა მხარი და ახლაც ასეთივე დამოკიდებულება გამოხატა; და, რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში იყო მოვლენები რუსეთში, არჩევნების შესაძლო შედეგები. როცა ამ საკითხებს განვიხილავდით მასთანაც და სხვა პრეზიდენტებთან, საგულისხმო იყო დიდი შინაგანი განგაშის შეგრძნება, რომელიც ყველას ჰქონდა, — არ მოხდეს ყველაზე უარესი. საერთო განწყობილება ისეთია, რომ პრეზიდენტ ელცინს ერთსულოვნად უჭერენ მხარს. ეს, რა თქმა უნდა, მოწოდებების დონეზე არ კეთდება, მათი დამოკიდებულების და მათი პოზიციის გამოხატულებაა.

ენერგეტიკის, ტრანსპორტის საკითხები განვიხილეთ რუსეთის ვიცე-პრემიერთან ალექსეი ბოლშაკოვთან, და მასთანვე საკმაოდ დეტალურად ვიმსჯელეთ აფხაზეთის კონფლიქტის პრობლემებზე, ამ დღეებში საკითხის განხილვასთან დაკავშირებით თანამეგობრობის ქვეყნების უმაღლეს დონეზე შეხვედრაზე მოსკოვში.

შევეცადეთ გარკვეული პერსპექტივა გამოგვეკვეთა, განსაკუთრებით, ტრანსპორტის რეაბილიტაციის სფეროში, რუსეთიდან ენერგოშემცველების მოწოდების და, უწინარეს ყოვლისა, „კავკასიონის“ ელექტროგადამცემი ხაზის ამოქმედების თვალსაზრისით.

გამოიკვეთა უკრაინის დიდი ინტერესი საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურების სარგებლობის გამო ევროპა-აზიის დერეფნის პერსპექტივით. ირანში ჩამოსული იყო უკრაინის დელეგაცია პირველი ვიცე-პრემიერის პავლე ლაზარენკოს ხელმძღვანელობით, რომელსაც შევხვდი. ვისაუბრეთ ჩვენს ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შესახებ. უნდა გითხრათ, რომ უკრაინას ცოტა გაუჭირდა პოლიტიკური თვალსაზრისით, გარკვეული სიძნელეები შეიქმნა პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის: კონსტიტუციის მიღება პარლამენტში ვერ მოხერხდა. ეს, ბუნებრივია, გარკვეულ დაძაბულობას ქმნის, მაგრამ უკრაინა მაინც საკმაოდ დინამიკურად ვითარდება და ამ თვალსაზრისით გარკვეულ ინტერესს იჩენს კავკასიის მიმართ, განსაკუთრებით, სატრანზიტო დერეფნის პერსპექტივის ფონზე.

უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოსა და უზბეკეთის ურთიერთობა. ბოლო დროს ასეთი ტენდენცია განსაკუთრებით კარგად ჩამოყალიბდა. პრეზიდენტ ისლამ კარიმოვთან შეხვედრის დროს გადაწყდა, რომ მისი საპასუხო ვიზიტი საქართველოში შედგება 27-28 მაისს. ეს ბევრი სიკეთის მომტანი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნისათვის. საგულისხმოა, რომ ამ ქვეყანას დიდი ინტერესი აქვს ევრაზიის დერეფნის, შავი ზღვის ნავსადგურების მიმართ, მოვილაპარაკეთ, რომ ამ ნავსადგურების ტერმინალებს აქტიურად გამოიყენებენ უზბეკური ბამბის ნედლეულის, ზოგიერთი ტვირთის გასაგზავნად დასავლეთში და, შესაბამისად, დასავლეთის ქვეყნებიდან ტვირთების უზბეკეთში ტრანსპორტირებისათვის.

საქართველოში ბამბის ნედლეულის შემოტანა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი მრეწველობისათვის. თუ დადებითად გადაწყდა წლების განმავლობაში გაჭიანურებული ეს პრობლემა, გადაწყდა ისე, როგორც მე და პრეზიდენტ კარიმოვი შევთანხმდით, მაშინ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მსუბუქი მრეწველობა ბოლოს და ბოლოს ფეხზე დადგება. ბამბის ნართთან, მოგეხსენებათ, დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის 11 უმსხვილესი საწარმო.

და, საერთოდ, მინდა გითხრათ პრეზიდენტ ისლამ კარიმოვის ჩვენდამი განსაკუთრებული სიმპათიისა და განსაკუთრებული მხარდაჭერის შესახებ. როდესაც წლეულს, 19 იანვარს მოსკოვში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ლიდერთა სამიტზე განიხილებოდა სეპარატისტული რეჟიმისადმი დამოკიდებულების საკითხი, იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც რადიკალურად გამოხატა სეპარატიზმის დაგმობის საკუთარი პოზიცია.

ცნობილია ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის ტრადიციულად მეგობრული და კეთილი დამოკიდებულება საქართველოსადმი. შევთანხმდით, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობის სიღრმისეულ საკითხებს, რომლებიც ყაზახეთში ჩემი ვიზიტის დროს ხელმოწერილი ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობს, განვიხილავთ მისი საქართველოში ჩამოსვლის დროს. წინასწარი შეთანხმებით ივლისის ბოლოს, აგვისტოს დასაწყისში პრეზიდენტი ნაზარბაევი მზად იქნება ესტუმროს საქართველოს, შესაძლოა, — კავკასიის ქვეყნებსაც.

ბევრს არ ვილაპარაკებ თურქმენეთის პრეზიდენტთან საფარმურატ ნიაზოვთან შეხვედრის შესახებ. არაერთხელ გამოგვიწოდა მან დახმარების ხელი, არაერთხელ გამოხატა თავისი განსაკუთრებული თანაგრძნობა, და ჩვენი შეხვედრაც სწორედ ამ სულისკვეთებით წარიმართა. როგორც იცით, შეთანხმებული ვართ, რომ როგორც კი მოვახერხებთ გაზის საფასურის გადახდას, დაუყოვნებლივ მივიღებთ ბუნებრივ გაზს საჭირო რაოდენობით. ცხადია, აქ ლაპარაკი არ არის 300 მილიონ დოლარ ვალზე, რომელიც განვადებულია.

როგორც ყოველთვის, ხანგრძლივი, საქმიანი და წინადადებებით დატვირთული იყო შეხვედრა აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ჰეიდარ ალიევთან. სრული ურთიერთგაგება, შეხედულებათა ერთიანობა თითქმის ყველა საკითხზე ჩვენი ამ დიალოგისთვისაც იყო დამახასიათებელი.

სომხეთის პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი, რომელსაც ელის საპრეზიდენტო არჩევნები სექტემბერში, ეწვევა თბილისს ივნისის პირველ დეკადაში. ამაზე ირანში შეხვედრის დროს საბოლოოდ მოვილაპარაკეთ. ეს იქნება უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა ორი მოძმე ხალხის ცხოვრებაში, ჩვენი მომავლის განსაზღვრაში, — გაუზვიადებლად ვიტყვი, — კავკასიაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ჩვენ დაახლოებით მოვხაზეთ საკითხების ის წრე, რომლებიც ჩვენი მოლაპარაკების საგანი იქნება თბილისში მისი ვიზიტისას.

ძალიან საინტერესო პერსპექტივა გამოიკვეთა ყირგიზეთის პრეზიდენტთან აკარ აკაევთან საუბრის დროს. ეს ქვეყანა დიდ წარმატებებს აღწევს რეფორმების სფეროში. საინტერესო იყო ტაჯიკეთის პრეზიდენტთან იმამული რახმანოვთან შეხვედრა. ეს ქვეყანა ნელ-ნელა იშუშებს ჭრილობებს, მართალია კონფლიქტი აქ გრძელდება, გართულება კვლავ არის, მაგრამ იმ რაიონებში, რომლებსაც კონფლიქტი არ შეხებია, მნიშვნელოვანი ეკონომიკური გამოცოცხლება შეიმჩნევა.

ჩემთვის პირადად ბევრის მთქმელი იყო პაკისტანისა და ავღანეთის პრეზიდენტებთან ფარუხ აჰმედ ხან ლეგარისთან და რაბინისთან შეხვედრები. ამ ქვეყნებთან, განსაკუთრებით, ავღანეთთან ბევრი რამ მაკავშირებს ჩემი წარსული მოღვაწეობის პერიოდიდან. ორთავე ქვეყანა დიდ ინტერესს იჩენს საქართველოს მიმართ, და არ დავმალავ, საქართველოს პრეზიდენტის მიმართაც. არც ის[illegible] მალავენ ამ გრძნობებს, [illegible] თაც გულით ატარებენ იმ [illegible] თავის დროზე მივიღეთ [illegible] ვანასთან დაკავშირებით.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იქნებ ეს მთავ იყოს ამ ვიზიტის შეფასებისას, რომ სარახსში, აზერბაიჯანის, თურქმენეთის, უზბეკეთისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ხელი მოვაწერეთ უმნიშვნელოვანეს ხელშეკრულებას ჩვენი ქვეყნების სარკინიგზო და სხვა მაგისტრალების მთელი დატვირთვით და უსაფრთხო ამოქმედების შესახებ. როგორც იტყვიან, მწვანე შუქი აინთო. დარწმუნებული ვარ, რომ ახლო მომავალში ამ ხელშეკრულებას სხვა ქვეყნებიც შეუერთდებიან, იგი ღია ყველასთვის. ხელშეკრულების ხელის მოწერას ზეიმზე ჩამოსული ყველა პრეზიდენტი ესწრებოდა და ეს იმის გარანტიაა, რომ მართლაც ასე მოხდება. შეიძლება ითქვას, რომ ეს ხელშეკრულება საეტაპო მნიშვნელობის არის: კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ევრაზიის დერეფნის მშენებლობის გზაზე, რაც ჩვენს ქვეყანას ძალიან სერიოზულ შემოსავალს მოუტანს.

თქვენ მოწმენი ხართ, — თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — რომ ღონისძიებები ირანსა და თურქმენეთში მართლა გრანდიოზული ხასიათისა იყო. საქართველოს დელეგაცია ძალიან დიდი ყურადღებით სარგებლობდა, ყურადღების ცენტრში იყო, — ასე ვიტყოდი. მასპინძლებმა დიდად დააფასეს ის, რომ მათი მოწვევა მივიღეთ და ვმონაწილეობდით, მათი ზეიმი და სიხარული გავიზიარეთ, თუმცა ეს, გარკვეული აზრით, ჩვენი სიხარულიც არის და ჩვენი ზეიმიც, იმიტომ რომ საქართველოსთვისაც და კავკასიისთვისაც იმუშავებს ხელშეკრულება, რომელიც ეს-ესაა [illegible]სენე.

დიდი სითბო და მეგობრული დამოკიდებულება გამოხატეს ჩვენდამი ყველა პრეზიდენტმა და მათმა თანმხლებმა პირებმა. ეს უნდა ითქვას.

ვფიქრობ, რომ ჩვენი სახელმწიფოს კურსი, ფუძემდებლური პრინციპი — მთელ მსოფლიოში ვეძებოთ მეგობრები, ვისწავლოთ მეგობრების შეძენის, მეგობრობის ხიდების მშენებლობის ხელოვნება, ძალიან აქტიურად მუშაობს.

გამოცილებისას ბატონმა რაფსანჯანიმ თქვა, რომ საქართველო ყველა ქვეყანასთან კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბების უნიკალურ ხელოვნებას ამჟღავნებს და რომ ამ უნარისა და ხელოვნების განხორციელება ქართული სახელმწიფოს უდიდესი დამსახურება არის.

ამ გზით უნდა ვიაროთ კვლავაც.

პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 30 აპრილი, ქ. თბილისი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებისათვის საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების მინიჭების შესახებ

სამშობლოს დაცვის საქმეში განსაკუთრებული წვლილისა და საბრძოლო მომზადებაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით:

მე-3 ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:

ელგუჯა დემეტრაშვილი — პოლკოვნიკი,
თეიმურაზ ლორია — პოლკოვნიკი,
ზურაბ მეფარიშვილი — პოლკოვნიკი.

მედლით „მხედრული მამაცობისათვის“:

ნუგზარ ადამია — უფროსი სერჟანტი,
ავთანდილ არაბული — უფროსი ლეიტენანტი,
მამია არშიძე — უფროსი სერჟანტი,
გრიგოლ ასობაძე — რიგითი,
მერაბ ბერიძე — უმცროსი სერჟანტი,
მამუკა ბოკელავაძე — უფროსი ლეიტენანტი,
თეიმურაზ ბუაჩიძე — უფროსი სერჟანტი,
ავთანდილ დავითაძე — პოლკოვნიკი,
ლევან დიასამიძე — უმცროსი სერჟანტი,
ემილ თათვიძე — კაპიტანი,
ნოდარ ივანიძე — მაიორი,
მევლუდ კაკანაძე — სერჟანტი,
როსტომ კახურაშვილი — უფროსი სერჟანტი,
ბაგრატ კვაჭაძე — ზემდეგი,
გიორგი კვირიკაშვილი — ლეიტენანტი,
გიორგი კუტალია — მაიორი,
კახაბერ ლაზარაშვილი — რიგითი,
დავით ლომიძე — რიგითი,
როინ მაზალაძე — პოლკოვნიკი,
კახა მეგრელიძე — ლეიტენანტი,
ალბერტ მემანიშვილი — ლეიტენანტი,
ზვიადი მერაბიშვილი — უფროსი ლეიტენანტი,
გოჩიტა მეხრიშვილი — სერჟანტი,
გიორგი მირიანაშვილი — რიგითი,
მორის მორჩილაძე — სერჟანტი,
როდამ მუჩუსიძე — პოლკოვნიკი,
გიორგი ნიკაბაძე — უფროსი ლეიტენანტი,
იოსებ ოსორაული — რიგითი,
ალიოშა ოსეფიშვილი — ლეიტენანტი,
ბულიშერ რობაქიძე — უფროსი ლეიტენანტი,
აკაკი სოსიაშვილი — რიგითი,
ბორის ტოკარი — რიგითი,
ისაკო უსენაშვილი — კაპიტანი,
ხვიჩა უჩაძე — სერჟანტი,
რობერტ ფიფია — მიჩმანი,
დემურ ფალამბერიძე — რიგითი,
ვასილ ჩარხანაშვილი — რიგითი,
ვლადიმერ ჩემია — უფროსი ლეიტენანტი,
სოზარ ჩიქოვანი — სერჟანტი,
გიორგი ჯაბუაძე — მაიორი,
ვახტანგ ჯგერენაია — ლეიტენანტი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“:

ვლადიმერ ბალაევი — პოლკოვნიკი,
არკადი ბუჭკაიძე — კაპიტანი,
ვალერიან ბუჩუკური — პოლკოვნიკი,
ჯუმბერ გოგოლაძე — მაიორი,
ალან ლააკოევი — უფროსი ლეიტენანტი,
ვალერი ნაყოფია — პოლკოვნიკი,
მერაბ ურიდია — კაპიტანი,
თეიმურაზ ქავთარაძე — გენერალ-მაიორი,
ნოდარ ჯიშკარიანი — პოლკოვნიკი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 8 მაისი, ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროს მეთაურთა შემადგენლობისათვის ვადამდე სპეციალური წოდებების მინიჭების შესახებ

განსაკუთრებული დამსახურებისათვის ვადამდე პოლიციის პოლკოვნიკის სპეციალური წოდება მიენიჭოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროს მეთაურთა შემადგენლობას:

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ **იოსებ გუნიავას** — სამეგრელოსა და ზემო სვანეთის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს — მესტიის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსს;

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ **თემურ ნოზაძეს** — ზესტაფონის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილეს ოპერატიულ დარგში.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 8 მაისი, ქ. თბილისი

შ. კვირიკაშვილის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტის დირექტორად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს შალვა კვირიკაშვილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო დეპარტამენტის დირექტორად.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1996 წლის 8 მაისი, ქ. თბილისი

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შედეგად საქართველოს ცენტრალურ და ქ. თბილისის ბიუჯეტებში შემოსული თანხების გამოყენების შესახებ

1. **ქ. თბილისში** 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად მთაწმინდის რაიონის დაზარალებული მოსახლეობის საბინაო მშენებლობისათვის სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შედეგად საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში შემოსული თანხებიდან ქ. თბილისის მერიას ერთი წლის ვადით გამოეყოს სესხი 1,0 მლნ ლარი სესხის სარგებლობისათვის წლიურზე გაანგარიშებით 10 პროცენტის გადახდით.

2. ქ. თბილისის მერიამ (ბ. შოშიტაიშვილი) სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შედეგად ქ. თბილისის ბიუჯეტის კუთვნილი შემოსავლები მიზნობრივად გამოიყენოს 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად მთაწმინდის რაიონის დაზარალებული მოსახლეობის საბინაო მშენებლობისათვის ი. ნიკოლაძის ქუჩაზე მშენებარე სახლის ექსპლოატაციაში შეყვანის გათვალისწინებით.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ამ განკარგულების პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული სახსრების ეფექტიანად ათვისების მიზნით ქ. თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულია ტენდერი და სამუშაოებს განახორციელებენ ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო ორგანიზაციები.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1996 წლის 8 მაისი, ქ. თბილისი

საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების პროცესში მსოფლიოს ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევის კოორდინაციის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში უკანასკნელ ხანს სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო გაერთიანების წევრი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რაც მათთან თანამშრომლობის, საერთო ძალისხმევის კოორდინაციის საკითხებს ახლებურად აყენებს.

საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების პროცესში მსოფლიოს ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევის კოორდინაციის სრულყოფის მიზნით:

1. საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნას კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების საკოორდინაციო საბჭო, რომელიც შესაბამისი უწყებების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების სტრუქტურების, პოლიტოლოგების, საერთაშორისო სამართლისა და სხვა სპეციალისტების მონაწილეობით შეიმუშავებს საჭირო საინფორმაციო-ანალიტიკურ მასალებსა და რეკომენდაციებს, რომლებსაც განსახილველად წარმოუდგენს პრეზიდენტსა და ეროვნული უშიშროების საბჭოს.

2. დამტკიცდეს კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების საკოორდინაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ი. მენაღარიშვილი — საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, საბჭოს ხელმძღვანელი;
თ. ნადარეიშვილი — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ხელმძღვანელის მოადგილე;
ლ. ალექსიძე — სახელმწიფო კანცელარიის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი საერთაშორისო სამართლის საკითხებში, ხელმძღვანელის მოადგილე;
გ. ბურდული — საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;
გ. გვაზავა — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
დ. გვაძაბია — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
ზ. ერქვანია — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;
ვ. ვაშაკიძე — საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი;
გ. კალანდია — საქართველოს პარლამენტის წევრი;
ზ. ლომაშვილი — საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;
ლ. მარშანია — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
ი. მაჭავარიანი — საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში;
დ. ტყეშელაშვილი — საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე;
გ. ფაცაცია — საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „აფხაზეთის“ თავმჯდომარე;
ჟ. ჩიხრაძე — საქართველოს პარლამენტის წევრი;
ლ. ცაავა — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ბ. ჭაჟელი — საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ვეტერანების საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე.

3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ი. მენაღარიშვილი) მიიღოს ქმედითი ზომები სამინისტროს სტრუქტურაში საინფორმაციო-ანალიტიკური და პროგნოზირების სამსახურის შესაქმნელად და მის ასამოქმედებლად.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (დ. იაკობიძე) გამოძებნოს აღნიშნული სამსახურის დაფინანსების წყაროები, ამასთან, გაითვალისწინოს სამსახურის მიერ ექსპერტებისა და სახელშეკრულებო ურთიერთობებისათვის საჭირო საფინანსო ხარჯების გამოყოფა.

5. განკარგულება გამოქვეყნდეს პრესაში.

6. ამ განკარგულების შესრულების კონტროლი დაეკისროს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრს ი. მენაღარიშვილს.

ე. შევარდნაძე.

გამოსათხოვარი

მიხეილ თუმანიშვილი



გარდაიცვალა თანამედროვე ქართული თეატრის დიდი რეფორმატორი, ბრწყინვალე რეჟისორი და გამოჩენილი პედაგოგი მიხეილ თუმანიშვილი.

სწორედ მასთან და მისი მოწაფეების სახელთან არის დაკავშირებული ის უდიდესი წარმატებანი, რომელთაც მსოფლიო აღიარება მოუტანეს თანამედროვე ქართულ თეატრს.

მიხეილ ივანეს ძე თუმანიშვილი დაიბადა 1921 წლის 6 თებერვალს, თბილისში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1939 წელს, იგი ჯარში გაიწვიეს, სადაც მეორე მსოფლიო ომმა მოუსწრო და 1944 წლამდე, სანამ დაიჭრებოდა, სხვადასხვა ფრონტზე იბრძოდა.

დემობილიზაციის შემდეგ, 1944 წელს, მიხეილ თუმანიშვილი დაბრუნდა თბილისში და სწავლა დაიწყო შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე გიორგი ტოვსტონოგოვის კლასში.

ეს იყო ორი დიდი ხელოვანის ბედნიერი შეხვედრა.

1949 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მიხეილ თუმანიშვილი მიიწვიეს რუსთაველის თეატრში რეჟისორად და თეატრალური ინსტიტუტის აუდიტორიაში ჭარისკაცის ფარაჯით მოსულმა კაცმა თავისი რეჟისორული ხელოვნებით, თავისი პედაგოგიური ნიჭითა და ადამიანური სიბრძნით არა მარტო დაიპყრო განსხვავებული სტილისტიკის თეატრის მაყურებელი, არამედ, თითქმის ორმოცდაათი წლის მანძილზე, თავად იქცა ქართული თეატრის განვითარების განმსაზღვრელ დიდ შემოქმედად.

ეს იყო ძველის უარყოფისა და ახლის მიღების ძნელი პროცესი, რომელიც მიხეილ თუმანიშვილმა თავის თანამებრძოლებთან, თავის „შვიდკაცასთან", ერთად დაიწყო ორმოცდაათიან წლებში სპექტაკლით „ადამიანებო, იყავით ფხიზლად". მას მოჰყვა „ფილოსოფიის დოქტორი", „ესპანელი მღვდელი", „როცა ასეთი სიყვარულია", „ზღვის შვილები", „ამბავი სიყვარულისა", „ჭინჭრაქა", რამაც შეცვალა არა მხოლოდ თეატრი, არამედ ჩვენი წარმოდგენებიც თეატრზე, რეჟისორზე, მსახიობზე, მაყურებელზე...

1968-71 წლებში მიხეილ თუმანიშვილი რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორია.

სწორედ რუსთაველის თეატრის სცენაზე განიცადა მიხეილ თუმანიშვილმა უდიდესი სიხარული შემოქმედებითი გამარჯვებისა. ზემოთ დასახელებულის გარდა სწორედ ამ თეატრის სცენებს ახსოვთ მისი „გვადი ბიგვა" განუმეორებელი ეროსი მანჯგალაძით, მისი უბრწყინვალესი ქმნილება „ანტიგონე" და თუმანიშვილის ორი დიდი მოწაფის რობერტ სტურუასა და თემურ ჩხეიძის ერთობლივი დადგმა „სამანიშვილის დედინაცვალი".

მაგრამ ამ თეატრში მიხეილ თუმანიშვილმა დიდი გულისტკივილიც განიცადა. 1971 წელს იგი იძულებული გახდა წასულიყო რუსთაველის თეატრიდან. სწორედ მაშინ დაწერა მან წიგნი „რეჟისორი თეატრიდან წავიდა"...

1971-75 წლებში მიხეილ თუმანიშვილი საქართველოს ტელევიზიის სადადგმო რედაქციის მთავარი რეჟისორია. იგი აქ ქმნის ორიგინალურ ტელეთეატრს, დგამს შესანიშნავ ტელესპექტაკლებს.

თუმცა ეს მისთვის მხოლოდ მოსინჯვა იყო ახალი ჟანრისა, ძიება ახალი გამომსახველობითი ხერხებისა, და უთეატროდ დარჩენილი დიდი რეჟისორის თავგანწირული მცდელობა, არ გაეწყვიტა კავშირი თეატრთან.

მისთვის არსებობის ერთადერთი ფორმა თეატრში არსებობა იყო და ბუნებრივია, რომ თეატრალურ ინსტიტუტში მან კვლავ შემოიკრიბა მასზე და თეატრზე ფანატიკურად შეყვარებული ნიჭიერი ახალგაზრდობა და შექმნა უჩვეულო თეატრი რომელსაც „მეთერთმეტე აუდიტორიის თეატრი" ერქვა. სწორედ აქ ჩაისახა დღეს უკვე მსოფლიოში აღიარებული კინომსახიობთა თეატრი, მისი თეატრი.

ამ თეატრის ახალგაზრდულმა სულმა და სიახლისაკენ მუდმივმა სწრაფვამ, დიდმა ნიჭმა და მაღალმა პროფესიონალიზმმა შექმნა ისეთი შესანიშნავი სპექტაკლები, როგორიცაა „ემერალდა", „ბაკულას ღორები", „საქმე", „დონ ჟუანი", „ჩვენი პატარა ქალაქი", „შეშლილის წერილები", „ზაფხულის ღამის სიზმარი", „ამფიტრიონ-38".

ხაზგასასმელია ისიც, რომ ბოლო ორი სპექტაკლი ჩვენი ცხოვრების ყველაზე ძნელ დროს, სიცივესა, სიბნელესა და გაჭირვებაშია შექმნილი.

ეს მართლაც მოქალაქეობრივი აქტი იყო.

მიხეილ თუმანიშვილი არ იყო ჯილდოებს გამოდევნებული კაცი, მაგრამ „ღირსების ორდენი", რომლითაც იგი წელს დაჯილდოვდა, მან სიხარულითა და მადლიერებით მიიღო როგორც საკუთარი ქვეყნის, საკუთარი ხალხის ჯილდო.

ადრე, საბჭოთა ეპოქაში მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის (1957), რესპუბლიკის სახალხო არტისტის (1961) და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის (1981) წოდებანი, 1988 წელს მიიღო საკავშირო სახელმწიფო პრემია, 1994 წელს — საქართველოს სახელმწიფო პრემია, მანამდე კი, 1990 წელს წიგნისათვის „სანამ რეპეტიცია დაიწყება" კოტე მარჯანიშვილის პრემიით დააჯილდოვეს.

მიხეილ თუმანიშვილი თავისი სპექტაკლებით, ადიდებდა და ყველაფერ იმას, რაც ადამიანში მშვენიერია, თავისი ასკეტური და მაღალზნეობრივი პიროვნებით იგი დიდი მაგალითი იყო პატიოსნებისა და თავმდაბლობისა და მხოლოდ თვითონ კი არ იყო მხოლოდ ნიჭიერი ხელოვანი, არამედ სხვებშიც ანთებდა ღვთიურ ნაპერწკალს.

სწორედ ამიტომ, დიდია მისი გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილი, [illegible] ტკივილი, რომელიც სიკვდილის წინაც ახალ დადგმაზე ფიქრობდა და თავის მომავალ სპექტაკლს „ალუბლის ბაღს" ზუსტ გეგმას კარნახობდა.

ედუარდ შევარდნაძე, ზურაბ ჟვანია, ნიკო ლეკიშვილი, ვალერი ასათიანი, გოგი ალექსი-მესხიშვილი, ელგუჯა ამაშუკელი, ირაკლი ანდრიაძე, მანანა ანთაძე, მანანა ახმეტელი, ნუგზარ ბაგრატიონი, მერაბ ბერძენიშვილი, ნატალია ბურმისტროვა, გურანდა გაბუნია, ნოდარ გაბუნია, გიორგი გეგეჭკორი, არჩილ გოგელია, ეთერ გუგუშვილი, ნოდარ გურაბანიძე, ვახტანგ დავითაია, აკაკი დვალიშვილი, თეიმურაზ დოიაშვილი, ქეთი დოლიძე, თამაზ თოლორაია, რეზო ინანიშვილი, ჯანსულ კახიძე, ზინაიდა კვერენჩხილაძე, ვასილ კიკნაძე, გიგა ლორთქიფანიძე, ნუგზარ ლორთქიფანიძე, გიორგი მარგველაშვილი, ედიშერ მაღალაშვილი, კოტე მახარაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, რომან მიმინოშვილი, ზაზა მიქაშავიძე, გიზო ჟორდანია, ვალერიან სალუქვაძე, გურამ სალარაძე, აკაკი სიხარულიძე, რობერტ სტურუა, თენგიზ სუხიშვილი, ნათელა ურუშაძე, გურამ ფანჯიკიძე, გოგი ქავთარაძე, მიხეილ ქვლივიძე, გია ყანჩელი, ზურაბ ყიფშიძე, ზაზა შენგელია, ელდარ შენგელაია, ბადრი შოშიტაიშვილი, მედეა ჩახავა, თემურ ჩხეიძე, რეზო ჩხეიძე, რამაზ ჩხიკვაძე, ზურაბ წერეთელი, ნინელი ჭანკვეტაძე, სოფიკო ჭიაურელი.

„საბჭოთა კავშირი? გმადლობთ, აღარ გვსურს"

ასეთი სათაურით გამოაქვეყნა ამას წინათ რუსეთის ერთ-ერთმა პოპულარულმა გაზეთმა სტატიათა მთელი სერია სახელმწიფო სათათბიროს დადგენილებასა და ბელორუსია-რუსეთის ხელშეკრულებასთან კავშირში. სხვა კონკრეტულ სიტუაციაში შეიძლება ასეთი ყურადღების ღირსად არც კი ჩაგვეთვალა რუსეთის პროსაბჭოური წრეების ჩვეული აქტიურობა, მაგრამ ერთი გარემოება მატებს სიტუაციის დრამატიზმს — როგორც ოპოზიციამ, ასევე ხელისუფლებამ, წინასაარჩევნო კამპანიის მთავარ თემად სწორედ საბჭოთა კავშირის აღდგენა აქცია. ის გარემოება, რომ კომუნისტები ამაზე საჯაროდ და ამაყადაც კი ლაპარაკობენ. ხოლო პრეზიდენტი და მისი მომხრეები „გაღრმავებული ინტეგრაციის" ყველასათვის გაუგებარ ტერმინს ეფარებიან, დიდს არაფერს ცვლის, ისევე როგორც არაფერს ცვლის კომუნისტთა მტკიცება, რომ კავშირის აღდგენა მხოლოდ ნებაყოფლობით უნდა მოხდეს; 1922 წელსაც ხომ „ნებაყოფლობით" გაერთიანდნენ ახალ იმპერიაში ძველი იმპერიის მაცხოვრებლები.

ისე კი, ნორმალურ ლოგიკას თუ მივყვებით, კომუნისტების საბოლოო გამარჯვების შემთხვევაშიც კი დიდ ტრაგედიას არ უნდა ველოდეთ; რაც უნდა იბრაგუნონ მკერდზე მჯიღი და ხმის ჩახლეჩამდეც რომ იმღერონ თავიანთ მიტინგებზე ანპილოვმა, უმალატოვამ თუ ვარენიკოვმა საბჭოთა კავშირის ჰიმნი, რუსეთს რესურსები აღარა აქვს ახალი იმპერიის აღსადგენად, ეს უკვე წმინდა პრაქტიკული მოსაზრებებით არის შეუძლებელი. ასეთი ლოგიკური არგუმენტების მოყვანა დაუსრულებლივ შეიძლება, რაც მე თვითონ არაერთხელ გამიკეთებია ადრე, მაგრამ როგორც ჩანს არ ცდებოდა დიდი რუსი პოეტი ტუტჩევი, როდესაც გვაფრთხილებდა — „უმომ როსიუ ნე პონიაც"-ო. მით უმეტეს, რომ დღეს რუსეთის ხელისუფლებაში აღარც ერთი მინისტრი არ დარჩა გაიდარის გუნდიდან, იმ მაღალკვალიფიცირებულ ლიბერალურ-დემოკრატებიდან, ვისაც ესმოდა, რომ ძვირადღირებული სიამოვნებაა იმპერია და ეს პირველ რიგში თვითონ რუსეთისთვისაა წამგებიანი. თავის დროზე სწორედ მათ არ დაუშვეს მინსკთან „ძმური კავშირის აღდგენა", რომლის პირველი ნაბიჯიც მანეთის ზონაში ბელორუსიის შესვლა უნდა ყოფილიყო. ხომ გახსოვთ ამის თაობაზე მიღებული ცხრა პოლიტიკური გადაწყვეტილება. ჩვენდა სამწუხაროდ დღეს სხვა მხრიდან უბერავს ქარი კრემლის კაბინეტებში და არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. განა შეიძლება ლოგიკური ახსნა მოეძებნოს (თვითონ რუსეთის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით) იმ ფაქტს, რომ ქაღალდზე დარჩა იანვრის სამიტის გადაწყვეტილება აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ბლოკადის თაობაზე? როგორც ამ დღეებში ტელევიზიით განაცხადა სოხუმში დისლოცირებულ რუს მესაზღვრეთა მეთაურმა, 5 აპრილიდან უკვე ფაქტობრივად გაუქმდა სამიტის გადაწყვეტილება. სავსებით ლოგიკური და ვითარებით გამართლებული იყო ელცინის რეაქცია ედუარდ შევარდნაძის წინადადებაზე მარტის ბოლოს საგანგებო სამიტის ჩატარების თაობაზე, სადაც ოფიციალური პოლიტიკური შეფასება უნდა მიეცათ სათათბიროს ავადსახსენებელი გადაწყვეტილებისათვის. რატომ შეიცვალა მოკლე დროში ასე „არალოგიკურად" მოსკოვის პოზიცია? და საერთოდ, რატომ იყო ასეთი ხანმოკლე და საბოლოო ანგარიშით არაეფექტიანი რუსეთის პრეზიდენტის აღშფოთება სათათბიროს აქციასთან კონტექსტში? უამრავია ასეთი კითხვები.

...აპრილის დასაწყისში რუსეთის ტელევიზიის ცნობილი პროგრამის — „პირველი პირები" (რომლის უსუსური ასლია ჩვენი „უფლებამოსილნი") სტუმარი საქართველოს პრეზიდენტი იყო. ჩვეული ტაქტითა და დიპლომატიურობით „იგერიებდა" ბატონი ედუარდი რუს პოლიტიკოსთა და ჟურნალისტთა „შუტევებს"; სათათბიროს ერთ-ერთი დეპუტატის შეკითხვაზე — რატომ მცირდება ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო კონტაქტებიო — ვაჭრობის განვითარებას ორმხრივი სურვილი ესაჭიროებაო, მოკლედ, მაგრამ საკმაოდ გასაგებად უპასუხა მან. გაცილებით „არადიპლომატიური" და გულახდილი იყო სომხეთის საბაჟოს სამმართველოს უფროსი, ბატონი აბგარიანი, როდესაც დაახლოებით იმავე პერიოდში გამართულ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ყველას გასაგონად დასდო ბრალი მოსკოვს სომხეთის წინააღმდეგ მიმართულ ეკონომიკურ სანქციებში. კერძოდ, დამსწრე ჟურნალისტებს მან გააცნო 31 იანვრით დათარიღებული რუსეთის ჩრდილოეთკავკასიის საბაჟო სამსახურის ინსტრუქცია, რომელიც სომხეთს აიძულებს რუსეთიდან ტვირთი შეიტანოს არა საქართველოს გავლით (ეს ყველაზე მოკლე და ოპტიმალური მარშრუტია), არამედ აზერბაიჯანისა და შუა აზიის გავლით. თუ აქვე იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სწორედ რუსეთია სომხეთის მთავარი სავაჭრო პარტნიორი (გასულ წელს რუსეთის ექსპორტმა სომხეთში 118 მლნ დოლარი შეადგინა, სომხეთის ექსპორტმა კი — 87 მლნ დოლარი). განა რუსეთის ინტერესებში უნდა იყოს ასეთი ხელსაყრელი ვაჭრობის ტორპედირება? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამით ხომ რუსეთის სავაჭრო კონკურენტი, ირანი ისარგებლებს, მაგრამ, როგორც ჩანს, მოსკოვისათვის მთავარია ასეთი სანქციებით აიძულოს სომხეთი (და არა მარტო სომხეთი) შეუერთდეს საბაჟო კავშირს, რომლის წევრობისგანაც ჯერჯერობით თავს იკავებს ერევანი (და არა მარტო ერევანი). სწორედ ამით ახსნა ბატონმა აბგარიანმა შექმნილი „ალოგიზმი". სულ სხვა საკითხია, თუ რა გამოსავალს უტოვებს მოსკოვი თუნდაც სომხეთს, შექმნილი სიტუაციიდან?

თითქმის ანალოგიური ვითარებაა მოლდავეთთან ურთიერთობაშიც; მართალია კიშინიოვისათვის აბსურდია საბაჟო კავშირში შესვლა, სანამ ამას კიევი არ დაეთანხმება (გეოგრაფიული მიზეზით) და ეს ბუნებრივია მოსკოვშიც ესმით, მაგრამ აქციზების თაობაზე რუსეთში მიღებული გადაწყვეტილებით მაინც „ისჯება" მოლდავეთი — ჭირს ღვინისა და კონიაკის პროდუქციის ექსპორტი რუსეთში (ასეთი საფრთხე ალბათ ჩვენ გველის ახლო მომავალში). რა მოიგო ამით რუსეთმა? თუ გასულ წელს მოლდავეთის ვაჭრობა თანამეგობრობის ქვეყნებთან 15,5 პროცენტით გაიზარდა, მთელი 60,4 პროცენტით გაიზარდა „შორეულ საზღვარგარეთთან" ვაჭრობა. ამავე დროს ქვეყანას პირველთან ვაჭრობაში 87,4 მლნ. დოლარიანი უარყოფითი სალდო აქვს, ხოლო მეორესთან — 7 მლნ. დოლარიანი დადებითი სალდო. ხელს უწყობს ასეთი ტენდენცია ინტეგრაციას?

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 91.

მაჯისცემა

რუსეთი ივნისის მოლოდინში

სოსო ცინცაძე, „საქართველოს რესპუბლიკის" პოლიტიკური მიმომხილველი

დღეს რუსეთის პრესის ერთ-ერთ წამყვან თემად იქცა ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები. რასაკვირველია არაფერია ცუდი იმაში, რომ მეზობელი დიდი სახელმწიფოს პოლიტოლოგების და პოლიტიკოსების ყურადღების ცენტრშია საკითხი, რომელიც ჩვენც სასიცოცხლოდ გვაინტერესებს, მაგრამ გასაკვირი (უფრო სწორედ დასანანი) ის გახლავთ, რომ აბსოლუტურად ყველა კმაყოფილდება ხსენებული მიმართულებით „მიღწევებისა" თუ „წარუმატებლობების" დაფიქსირებით, ზოგჯერ კი უკანასკნელის დრამატიზირებით, და პრაქტიკულად არავინ არ იწუხებს თავს საკითხის არსში ჩაწვდომით. კერძოდ, რამ აიძულა საქართველოს პრეზიდენტი, რომლის ნებისმიერი მოქმედებაც გავლენიანი „მოსკოვსკიე ნოვოსტის" (№ 11, 1996 წ.), აღიარებით „ყურადღებას იმსახურებს" და რომლის „ავტორიტეტი და კავშირები ძველებურად ფასობს" გარკვეული სიფრთხილით მოეკიდებოდა იგივე საბაჟო კავშირის ზოგიერთ დეტალს, თუმცა პრინციპულად არაფერი აქვს თვითონ იდეის საწინააღმდეგო. რატომ მოხდა, რომ მოლდავეთი დღეს აშშ-სა და ნატოზე უფრო ორიენტირებული, ვიდრე რუსეთზე? ასეა, თუ ცნობილ რუს მიმომხილველ რომან სტოიანოვს დავუჯერებთ, რომელიც იმასაც ამტკიცებს, რომ აზერბაიჯანი და საქართველო დღევანდელი რუსეთისათვის კონკურენტები უფრო არიან, ვიდრე პარტნიორები(?!).



კიდევ გავიმეორებ — ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს სრული უფლება თვითონ გადაწყვიტოს საკუთარი ბედი, თვითონ იყოს საკუთარი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის გამგებელი. ნებისმიერ ორ სახელმწიფოს შეუძლია სხვების დაუკითხავად, ნებისმიერი ფორმითა და შინაარსით დაუკავშირდნენ ერთმანეთს. იგივე ითქმის ბელორუსია-რუსეთის ორი აპრილის ხელშეკრულებაზეც. პირადად მე, პირველ რიგში, იმდენად მაინტერესებს იგი, რამდენადაც ჩვენც გვეპატიჟებიან შეუერთდეთ მათ კავშირს, ხოლო მიპატიჟების „დელიკატურ" ფორმაზე ზემოთმოყვანილი სომხეთის მაგალითიც მეტყველებს.

სანამ უფრო დაწვრილებით შევეხებოდე რუსეთ-ბელორუსიის კავშირს, ერთ მომენტზე შევჩერდები, რომელიც კავშირის მომხრეთა მთავარ „არგუმენტად" იქცა ამ დღეებში; საკითხი ევროპის ინტეგრაციას ეხება; იმოწმებენ რა ევროპარლამენტსა და ევროკავშირს, გვარწმუნებენ — აქეთკენ მიდის მთელი ცივილიზებული მსოფლიო და „პროვინციელ" ლიდერთა პოლიტიკური ამბიციების გამო რატომ უნდა ჩამოვრჩეთ ცხოვრებასო. მართლაც ასეა? მხოლოდ ზერელე და პრიმიტიული მიდგომით; ისიც თუ თვალს დავხუჭავთ გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ისტორიულ, კულტურულ და ცივილიზაციასთან დაკავშირებულ მომენტებზე. ევროპაში ინტეგრაციის სუბიექტები არიან ისტორიულად დამოუკიდებელი და არა ჯერ კიდევ გუშინ ერთი იმპერიის შემადგენლობაში მყოფი, კულტურისა და ცივილიზაციის ერთ დონეზე მყოფი სახელმწიფოები და ხალხები (უკანასკნელი მომენტი ძალზედ მნიშვნელოვანია). გარდა ამისა, რა გზა განვლო ევროპამ 1957 წლის რომის ხელშეკრულებიდან, ერთიან ვალუტაზე გასულ წელს მიღებულ შეთანხმებამდე? რამდენი თითქოს დაუძლეველი და გაუთვალისწინებელი სირთულის გადალახვა მოუხდათ ევროპის სახელმწიფოებს, რომელთა შორის სხვაობა შეუდარებლად ნაკლები იყო, ვიდრე დღეს ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეზე აღინიშნება? ინტეგრაცია მართლაც შეიძლება მომავალი საუკუნის გენერალურ მიმართულებად იქცეს, მაგრამ ინტეგრაციაც არის და ინტეგრაციაც; ყველაფერი (მათ შორის ჩვენი პოზიციაც) იმაზეა დამოკიდებული თუ ვინ რა აზრს დებს ინტეგრაციაში, ვის როგორ ესმის ეს პროცესი, მაგალითად კარნეგის საქვეყნოდ ცნობილი ფონდის წამყვანი ექსპერტის გარნეტის აზრით, ინტეგრაცია არასწორად ესმით მოსკოვში, სადაც ძლიერია ნოსტალგია საბჭოთა კავშირის გამო. მისივე მტკიცებით, „მხოლოდ „სნგ"-ს ძალიან სუსტი და არასტაბილური ქვეყნები ილტვიან ინტეგრაციისაკენ, რომლის პირობებსაც მოსკოვი კარნახობს", მოსკოვში კი „ჯეროვნად ვერ აფასებენ სტაბილური და დამოუკიდებელი მეზობლების ფასს და აუცილებლობას".

არც იმის თქმა შეიძლება, რომ მოსკოვში არ ესმით, თუ რა სერიოზული ნეგატიური შედეგი შეიძლება მოჰყვეს საბჭოთა კავშირის აღდგენის ნებისმიერ ცდას. ამიტომაც იყო რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის სპიკერმა სტროევმა, მინსკში ვიზიტის დროს საჭიროდ ჩათვალა ყველას (პირველ რიგში ბელორუსიის „ინტეგრატორ" — პრეზიდენტის) გასაგონად განეცხადებინა — „მე კატეგორიულად გამოვდივარ იმის წინააღმდეგ, რომ ამ ეტაპზე ვილაპარაკოთ რაიმე სახელმწიფოებრივ გაერთიანებაზე". იგი არც გერმანიის „სამოკავშირეო ხელშეკრულების" მომხრეა, ვინაიდან უკანასკნელი „მთელ რიგ ნეგატიურ ასოციაციებს იწვევს". ღმერთმა უწყის, როდის დადგება „მომავალი ეტაპი", მაგრამ „ამ ეტაპზე" სტროევის პოზიცია ოფიციალურ პოზიციად გამოიყურება. ალბათ მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტის მოუცლელობით არ აიხსნება ის ფაქტიც, რომ საზეიმო ცერემონიალზე ჩამოსულ ბელორუსიის პრეზიდენტს, კარგა ხანს ალოდინა, სანამ მიიღებდა. თავის მხრივ ლუკაშენკო დაჟინებით იმეორებს — ხალხის მიერ ვარ უფლებამოსილი რუსეთთან ინტეგრაციაზეო და გასული წლის რეფერენდუმის შედეგებს იმოწმებს, რაზეც ოპონენტები უპასუხებენ — რეფერენდუმზე სულაც არ იყო ლაპარაკი ერთიან სახელმწიფოზე, ახალი გერბითა და ალმით, ერთიან მთავრობასა და ვალუტაზე, უფრო კატეგორიულია ქვეყნის ყოფილი ლიდერი შუშკევიჩი — „...ბრმებმა არ იციან, საით წაიყვანონ ხალხი და ამიტომ შებრუნდნენ უკან".

თუ წინასაარჩევნო ბრძოლის ტაქტიკურ ამოცანებს გამოვრიცხავთ, საეჭვოა, რომ 2 აპრილის ხელშეკრულება რუსეთის დიპლომატიურ გამარჯვებად იქცეს; მისი პირველი და მთავარი შედეგი იქნება ნატოში გაწევრიანების მსურველთა გააქტიურება, რომელნიც ხელიდან არ გაუშვებენ ასეთ შანსს. ჯერ კიდევ სახელმწიფო დუმის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა, რომ დღეს, როგორც არასდროს ისეა რეალური ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით, ვინაიდან ასეთ ტენდენციას სწორედ ანალოგიური დადგენილებები აძლევს სტიმულს, ხოლო კიდევ ერთ „წინგადადგმულ ნაბიჯს", თვით მუდამ ფრთხილი ყირგიზეთის პრეზიდენტიც კი მისთვის უჩვეულო სიმკვეთრით გამოეხმაურა: „საჭიროა ფეხი ავუწყოთ დროს, ა. ლუკაშენკო კი წინ გარბის, რაც მუდამ არ რგებს საქმეს" — განაცხადა მან პეტერბურგში ყოფნისას, ერთი დღით ადრე ვიდრე მოსკოვში მოაწერდა ხელს ოთხთა კავშირს „გაღრმავებულ ინტეგრაციაზე".

როგორც რუსეთის პრეზიდენტის, ასევე კანდიდატთა (უმთავრესად, რასაკვირველია, ზიუგანოვის) განსაკუთრებული მნიშვნელობის თავსატეხია უკრაინასთან ურთიერთობა; მიუხედავად პარლამენტში მყარი პოზიციებისა, მთლიანად ქვეყანაში უმცირესობაში იმყოფებიან მემარცხენეები კომუნისტების მეთაურობით. უკრაინის ეროვნულ-დემოკრატიული ორიენტაციის პარტიებმა და მოძრაობებმა 15 მარტის შემდეგ დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება კომპარტიის აკრძალვის მოთხოვნით. მათ გადაწყვეტილი აქვთ მიმდინარე წელი კომუნისტთა ლეგალურად ფუნქციონირების უკანასკნელ წლად აქციონ. უკვე შექმნილია ეროვნული კომიტეტი, რომელსაც კომპარტიის გასამართლების ორგანიზაცია აკისრია. როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, მიღწეულია შეთანხმება ჩეხიის, სლოვაკიის, პოლონეთის, ბალტიის ქვეყნების სამთავრობო სტრუქტურებთან სასამართლოს შექმნაზე, რომელიც კომუნიზმს გაასამართლებს, ხოლო მოწმის როლში უკრაინის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები გამოვლენ. მოსწრებულად იოხუნჯა უკრაინის პრემიერმა მარჩუკმა — „რეტროს სტილი ლამაზი და სასიამოვნოა მუსიკაში, მოდასა და ხელოვნებაში, პოლიტიკაში კი რეტრო ჩიხია"-ო. ბუნებრივია, რომ გაცილებით პირდაპირი და მკაცრია თავის შეფასებებში ყოფილი პრეზიდენტი კრავჩუკი, რომელსაც მთავარ ამოცანად მიაჩნია „ყველა მიხვდეს, რომ უკრაინა დღეს თავისებური ბასტიონია მემარცხენე ძალების შესანარჩუნებლად". საინტერესოა, რომ თუმცა დღევანდელი პრეზიდენტისა და მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა არ მოსწონს კრავჩუკს, მაგრამ მისივე განცხადებით უკრაინის დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა „საიმედო ხელშია", უკრაინაში შექმნილ საერთო სიტუაციაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ადგილობრივმა ნაციონალისტებმა 1654 წლის პერეიასლაველის რადის დადგენილების დენონსაცია და ბოგდან ხმელნიცკის ძეგლების აღებაც კი მოითხოვეს.

მეორეს მხრივ, იგივე უკრაინა ისეა დღეს ინტეგრირებული რუსეთთან, რომ ამ ფაქტის იგნორირება და ორ ქვეყანას შორის შეუვალი საზღვრის დაწესება პრაქტიკულადაა შეუძლებელი. ამავე დროს, ისეთი მასშტაბები მიიღო ბოლო პერიოდში დასავლეთის დაინტერესებამ უკრაინით, რომ მოსკოვსაც ძალზედ გაუჭირდება კიევზე ბატონობა. არც უკრაინელ კომუნისტთა გავლენაა გადამწყვეტი ფაქტორი; ნებისმიერი არჩევნებისა თუ რეფერენდუმის შემთხვევაში კომუნისტებს გარანტირებული აქვთ სრული გამარჯვება დონბასსა და ნოვოროსიაში, ნაწილობრივი — ყირიმში. ეს არის და ეს, ასე რომ თვით მმართველი პარტიის პირობებშიც კი უკრაინელი კომუნისტები ვერასოდეს ვერ გაიტანენ თავიანთ იდეას რუსეთთან თვით კონფედერაციული კავშირის თაობაზეც კი.

როდესაც არჩევნებამდე ორ თვეზე ნაკლები რჩება, სულაც არ აძლევს ხელს ელცინს უკრაინასთან მოუგვარებელ პრობლემათა არსებობა, მაგრამ ამავე დროს სწორედ მისი ტაქტიკა — კომუნისტებს „გადაუჯოკროს" ინტეგრაციის საკითხში, შეუძლებელს ხდის კიევთან კონსტრუქციულ დიალოგს. დრო კი არ ითმენს, აჩქარებს მოსკოვი კიევს და ოთხჯერ ჩადის პრემიერი მარჩუკი რვა დღის განმავლობაში მოსკოვში... უშედეგოდ. ორ ქვეყანას შორის „განხეთქილების ვაშლად" კვლავ შავი ზღვის ფლოტი და მისი ბაზისების საკითხი რჩება, რუსეთის პრეზიდენტს არ სურს არჩევნების საფინიშო სწორზე უკრაინას „დაუთმოს რუსეთის ფლოტის ისტორიული სიამაყე" სევასტოპოლი; თუ რაღაც 2-3 თვის წინ რუსეთის მხარე თანახმა იყო სევასტოპოლის ყურეში ორივე ქვეყნის ფლოტის ერთობლივ ბაზირებაზე, კიევის ვერსიით დღეს ფაქტიურად ერთპიროვნულ მფლობელობას მოითხოვს როგორც ბაზაზე, ასევე ქალაქზე. უკრაინის მხარე აცხადებს, რომ იგი არასოდეს წავა ასეთ დათმობაზე.

...რასაკვირველია, კომუნისტებმაც და მათმა მოწინააღმდეგეებმაც იციან, რომ ხმის მისაცემ პულტებზე თითის დაჭერით და ფართო პროპაგანდისტული კამპანიით შეუძლებელია საბჭოთა კავშირის აღდგენა. დღეს უკვე რუსეთის კომუნისტური დუმის შვიდი აპრილის მოწოდებისხაირი დოკუმენტით კი არა, ტანკებითა და „ჩერიომუხებითაც" ვეღარ შეყრი ყოფილ „თანასწორუფლებიანთა" უმრავლესობას ახალ „ძმურ ოჯახში". არც ის არის გამორიცხული, რომ ივნისის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ელცინიც სხვა პრიზმაში შეხედავს ინტეგრაციის რეალურ პერსპექტივებს, მაგრამ როგორც კაცობრიობის გამოცდილება გვასწავლის, უფრო ხშირად პესიმისტთა პროგნოზები მართლდება. ამით მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ მზად უნდა ვიყოთ მოვლენათა ნებისმიერი განვითარებისათვის.

...ამ ერთი კვირის წინ გაზეთმა „პრავდამ" იურისტთა კოლექტიური განცხადება გამოაქვეყნა. ათამდე მეცნიერებათა დოქტორი (მათ შორის ჩვენი თანამემამულე, ბატონი ბ. ყურაშვილი, რომლის გაბედული წერილებიც ასე მოგვწონდა ამ 8-9 წლის წინ) აღშფოთებას გამოთქვამს „საბჭოთა კავშირის ხალხთა ნების ფეხქვეშ გათელვისათვის", რაც თურმე 1991 წლის 17 მარტის რეფერენდუმის შედეგთა უგულებელყოფით გამოიხატა. განცხადების ავტორთა აზრით, „საუკუნის უდიდესი უსამართლობა" მომხდარა და რა გარანტია გვაქვს, რომ არასოდეს დადგება დღის წესრიგში „საუკუნის სამართლიანობის აღდგენა?". რაც შეეხება უშუალოდ „საუკუნის უსამართლობის" „სუბიექტ-მსხვერპლს", 17 მარტის რეფერენდუმს, მისი იურიდიულ-სამართლებრივი არსი კარგა ხანია, რაც ახსნილია; რომელ ხალხის ნებაზეა ლაპარაკი, როდესაც მთავარი კითხვები ისე იყო შედგენილი, რომ „სრული საფუძვლით" შეიძლებოდა იმის მტკიცებაც, რომ რეფერენდუმში მონაწილეთა 76 პროცენტი საბჭოთა კავშირის შენარჩუნების მომხრე იყო, რომ 70,88 პროცენტი ფაქტიური წინააღმდეგი იყო, ვინაიდან რუსეთში პრეზიდენტის პოსტის შემოღებას დაუჭირა მხარი. საქართველოს, მოლდავეთისა და ბალტიისპირეთის მოსახლეობამ კი საერთოდ ბოიკოტი გამოუცხადა რეფერენდუმს. ცხადია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ვერავითარ ობიექტურ ექსპერტიზას ვერ გაუძლებს 17 მარტის რეფერენდუმი თავისი შედეგებით, თუნდაც იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის ცნობილი კანონი „რეფერენდუმზე" ოთხ ძირითად პუნქტს შეიცავდა; პირველი სამი ეხებოდა თვითონ საბჭოთა კავშირის კანონების შეცვლას პლებისციტის საშუალებით, ხოლო მეორე კი გულისხმობდა საზოგადოების აზრის გამოვლენას მნიშვნელოვან საკითხებზე. უკანასკნელის ჭრილში ჩატარდა 17 მარტის რეფერენდუმიც და ამიტომაც მის ნებისმიერ შედეგს არც საკანონმდებლო და არც სამართლებრივი ძალა არ უნდა ჰქონოდა. ყველაფერ ამაზეც რომ დავხუჭოთ თვალი, იმ ფაქტს რაღა ვუყოთ, რომ საბჭოთა კავშირის იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო მის მიერვე ორგანიზებული რეფერენდუმის მთავარ კითხვაზე გაცემული პასუხის მატერიალიზაცია? — ვერ შექმნა „თანასწორუფლებიან რესპუბლიკათა განახლებული ფედერაცია". ასე გამოიყურება რუსეთის აღიარებულ სპეციალისტთა დასკვნა. მაგრამ როდის ჰქონია სხვის აზრს (თუნდაც ობიექტურსა და პროფესიონალურს) რაიმე მნიშვნელობა „ნამდვილი" კომუნისტებისათვის? მათ ერთი რამ არ ემლებათ — რეინტეგრაციის შედეგად ცენტრალიზებული სკკპ-ს აღდგენა უფრო იოლია, ვიდრე ცენტრალიზებული საბჭოთა კავშირის. იყოს მომავალი კავშირი ფედერაცია, გინდ კონფედერაცია, მთავარია ერთი „გენერალური მდივანი" იყოს, მისი ძალაუფლება ყოველგვარი გართულებების გარეშე გაუტოლდება შუა საუკუნეების ევროპაში რომის პაპის ძალაუფლებას.

ეპილოგის მაგიერ

გაზაფხულზე ადიდებულ მღვრიე მდინარეს მოგვაგონებს დღევანდელი რუსეთი; ეს არცაა გასაკვირი — ჯერ არ დასრულებულა ქვეყნის თვითიდენტიფიცირების ურთულესი პროცესი. სწორი არიან ისინი, ვინც ამტკიცებენ, რომ ახალი რუსეთი ძველი საბჭოთა კავშირი არ არის. არც ისინი ცდებიან, რომელთა აზრით დღევანდელ რუსეთს აღარაფერი აქვს საერთო კომუნიზმამდელ რუსეთთან. ეს მართლაც ახალი სახელმწიფოა; ყველასაგან განსხვავებული ხელწერით. აბა სხვაგან სად ნახავთ, რომ ასე თუ ისე დემოკრატიულ არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრირება ფულის კეთების საშუალება იყოს? საქმე ის გახლავთ, რომ დღეს რუსეთში ნებისმიერ აბსოლუტურად უპერსპექტივო კანდიდატს ერთი მილიონი ხელმოწერის „ორგანიზება" გაცილებით იაფი უჯდება იმ თანხასთან შედარებით, რომელსაც იგი ფედერალური ხაზინიდან მიიღებს ოფიციალურად რეგისტრირებული კანდიდატის რანგში. ამიტომაც იყო ასე გამმაგებული სათათბიროს წევრი ბრინცალოვი, როდესაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კანდიდატად არ დაამტკიცა. აბა, სად ნახავთ სხვაგან ასეთ წინასაარჩევნო სიტუაციას, როდესაც იგივე დემოკრატებს ზნეობრივ-მორალური ფაქტორი ელცინისათვის მხარის დაჭერაში უშლის ხელს, ხოლო საღი აზრი ნებას არ აძლევს კომუნისტთა გამარჯვებას შეუწყონ ხელი?

სხვა რომელი ქვეყნის პრეზიდენტის ჯანმრთელობა აინტერესებს ასე აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს, რომ ერთ წელიწადში (1995 წელს) ორასი ათასი დოლარი დაიხარჯოს ნებისმიერი ხასიათის ინფორმაციის შეგროვებაზე?

...თებერვალში უპრეცედენტო შინაარსის ანალიზური დასკვნა გამოაქვეყნა ფონდმა „რეფორმამ": თურმე რუსეთის პრეზიდენტის არჩევის კანონიდან გამომდინარე, შეიძლება საერთოდ ვერ აირჩიონ პრეზიდენტი. რატომ? ელემენტარულად; გადამწყვეტი აღმოჩნდება მათი პოზიცია, ვინც დღეს „ყველას წინააღმდეგია". პრეზიდენტის არჩევნების კანონის თანახმად, მეორე ტურში გასულმა კანდიდატმა (საერთო აზრით, კი აუცილებლივ გახდება საჭირო მეორე ტური), გარდა იმისა, რომ მოწინააღმდეგეზე მეტი ხმები უნდა დააგროვოს, მან ორივე კანდიდატის წინააღმდეგ მიცემულ ხმებზე მეტი უნდა დააგროვოს.

ივნისში კი, როგორც ფონდის ექსპერტები ვარაუდობენ, ამომრჩევლები უფრო ყველას წინააღმდეგ გამოვლენ, ვიდრე რომელიმეს მომხრედ. თუ მეორე ტურში გასულმა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა შათი ნდობა, ამომრჩევლები ბოიკოტს კი არ გამოუცხადებენ არჩევნებს, არამედ ორივეს გადაუსვამენ ხაზს ბიულეტენებში.

თორმეტი სავარაუდო კანდიდატის შანსები გააანალიზეს სოციოლოგებმა და რესპონდენტთა დამოკიდებულებიდან გამომდინარე, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ დააგროვებს „ყველას წინააღმდეგ" მიცემულ ხმებზე მეტს. ასე გამოიყურება „რეფორმის" ანალიტიკოსთა დასკვნით მეორე ტურის რეალურ პრეტენდენტთა — ელცინისა და ზიუგანოვის შანსები: პირველს ელექტორატის 25 პროცენტის მხარდაჭერის იმედი შეიძლება ჰქონდეს, მეორეს — 32 პროცენტის. ორივეს წინააღმდეგ კი მზადაა ხმა მისცეს ელექტორატის 36-მა პროცენტმა. თუ მართლაც ასე მოხდა, არჩევნების შედეგები ბათილად გამოცხადდება. რა მოჰყვება ამას? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხს ყველა გაურბის, თუმცა კანონში ყველაფერი გასაგებადაა ჩაწერილი. ჯერჯერობით კი ტრადიციას არ ღალატობს ჟირინოვსკი და არჩევნებამდე მოსკოვის საერთაშორისო აეროპორტის დახურვას მოითხოვს — არჩევნების „გარდაუვალი შედეგებით" შეშინებული დემოკრატები „ჩვენი ფულებით" რომ არ გაიქცნენო. ღმერთმა ქნას, რომ ეს მხოლოდ „იურისტის შვილის" მანიაკალური ფანტაზია იყოს. ღმერთმა ქნას, რომ ერთი საუკუნის მანძილზე მეორედ არ დაიცალოს რუსეთი თავისი საუკეთესო შვილებისაგან. ისე კი, აეროპორტები ჯერ არ დაუკეტავთ...

აქვს კი ძალა „მესამე ძალას"?



ამ დღეებში პრეზიდენტმა ელცინმა დაიწყო მოლაპარაკებათა სერია პრეტენდენტებთან პრეზიდენტის პოსტზე. და პირველი შეხვედრა შემთხვევით როდი ჩაატარა ალექსანდრე ლებედთან, ჩამოყალიბებაში მყოფი კოალიციის წარმომადგენელთან, რომელსაც უკვე „მესამე ძალას" უწოდებენ.

როგორც „იზვესტიის" კორესპონდენტს ბორის ელცინის საარჩევნო შტაბთან ახლო მდგომმა პირმა აცნობა, პრეზიდენტი მზად არის უახლოეს დღეებში შეხვდეს გრიგორი იავლინსკის, რათა მას „უაღრესად სერიოზული წინადადებები შესთავაზოს". და, თუმცა ამ პირს არ დაუზუსტებია, თუ სახელდობრ რომელ წინადადებებზე იქნება ლაპარაკი, მაგრამ პირველი და ერთადერთი, რაც ამ დროს კაცს შეიძლება თავში მოუვიდეს, შემდეგია: მთავრობის პრემიერ-მინისტრის პოსტი იავლინსკის ამომრჩეველთა მხარდაჭერის ნაცვლად. ასეა თუ ისე, „მესამე ძალა", რომელზეც ბოლო ხანებში ყველა გაზეთი წერს, როგორც ჩანს, მართლაც იკრებს ძალას.

ინფორმაცია

თეიმურაზ ხაჩიშვილის, ჯაბა იოსელიანის, გიორგი გელაშვილის და სხვათა გამო

საზოგადოებრიობისა და ჟურნალისტთა ინტერესი განსაკუთრებით დიდია თეიმურაზ ხაჩიშვილისა და სხვათა სისხლის სამართლის საქმისადმი.

თეიმურაზ ხაჩიშვილის, ჯაბა იოსელიანის, გიორგი გელაშვილის და სხვათა ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების დამთავრება გამოცხადდა 10 მაისს. მათ ბრალად ედებათ სამშობლოს ღალატი, ტერორისტული აქტების, მკვლელობებისა და სხვა მძიმე დანაშაულთა ჩადენა.

ამჟამად მიმდინარეობს დაზარალებულთათვის გამოძიების დამთავრების გამოცხადება. სურვილის შემთხვევაში ისინი გაეცნობიან საქმის მასალებს, მათთვის და მათი ადვოკატებისათვის გასაცნობად საქმის მასალების სამოცამდე ტომია მზად, შემდეგ მხარეთა მიერ აღძრული შუამდგომლობების (თუ ასეთი ექნებათ) განხილვა და მათზე პასუხის გაცემაც გარანტირებულია.

იმ შემთხვევაში, თუ გამოძიებამ შუამდგომლობათა საფუძველზე არ დაადგინა გამოძიების განახლება და რაიმე საგამოძიებო მოქმედების შესრულება, დაიწყება საქმეზე საბრალდებო დასკვნის შედგენა.

საქართველოს პროკურატურის პრესცენტრი.

პოლიციელი მოკლეს

12 მაისს შინაგან საქმეთა ნაძალადევის რაიონის სამმართველოში მივიდნენ ქვიშხეთის ქუჩა № 1-ში მდებარე კომერციული ბანკის „ელდორადოს“ წარმომადგენლები და განაცხადეს, რომ გაქურდულია ბანკი და ადგილზე არ იმყოფება დაცვის პოლიციელი ბ. ალახანია.

შემთხვევის ადგილზე მისვლისას გაირკვა, რომ ბოროტმოქმედები მოტყუების გზით შეიჭრნენ ბანკში, გაიტაცეს დაახლოებით 40000 ლარი და მიიმალნენ.

დაახლოებით 18 საათსა და 30 წუთზე, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე, ტურისტულ ბაზასთან ახლოს, სარწყავ არხში ნახეს მამაკაცის გვამი, რომელსაც სახეზე შემოხვეული ჰქონდა გამჭვირვალე წებოვანი ლენტი. იგი აღმოჩნდა თბილისის ბანკების დაწესებულებათა დაცვის პოლიციის ცალკეული ლეგიონის მე-6 ოცეულის პოლიციელი ბიძინა ალახანია.

შემთხვევის ადგილზე გავიდნენ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს და ნაძალადევის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელობა, რაიონის პროკურორი, ოპერატიული ჯგუფი და ექსპერტები.

წიგნი

„საბაჟო საქმის საკითხები“

ამ სახელწოდებით გამოვიდა პროფესორ ვახტანგ ქარუმიძის ნაშრომი, რომელშიც განხილულია საკითხები: საბაჟო საქმის ძირითადი ცნებები, საბაჟო სამართლის საგანი და წყაროები, დიპლომატიური წარმომადგენლობები ს ა. და საერთაშორისო დაცვის პრინციპები, საბაჟო ურთიერთობათა დარგში საერთაშორისო ორგანიზაციები.

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლებისა და საბაჟო საქმის საკითხების შესწავლით დაინტერესებული სტუდენტებისა და ფართო მკითხველისათვის. ნაშრომი გამოვიდა საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის გრიფით.

წიგნი გაიყიდება საფირმო მაღაზია-სალონ „სამშობლოში“ (კოსტავას ქ. № 14).

თეა ჭავჭავაძე-აშვილი.

მამაკაცთა გასაგონად

„ბქმლს შგულო... მტლაშა-მტლუში“

კოცნა როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობისა და საყოველთაო სიყვარულის გამოხატულების ფორმა პიროვნებათშორისი კონფლიქტებისა და წინააღმდეგობის ფონზე

არც კი ვიცი, რა ვუწოდო ამას.

თითქოს პრობლემა არ ეთქმის, მით უმეტეს, რომ ისეთ ცნებას, როგორიც არის პრობლემა, ჩვენ გაცილებით უფრო სერიოზული ხასიათის სირთულეებს ვუკავშირებთ. დაე, მკითხველმა თავად გამოუძებნოს სახელი ამ მოვლენას.

ეს უკვე შეამჩნიეს

საქმე ეხება იმას, რომ ყველანი ყველაფერს ამჩნევენ. ამჩნევენ ყველანი, ოღონდ, არა ჩვენ. მაგალითად, საზღვარგარეთელი სტუმრები ხშირად ფარული ცნობისმოყვარეობით გვეკითხებოდნენ და დელიკატურად სურდათ გაეგოთ, რით არის გამოწვეული ასეთი ტრადიცია. თავი რომ არ შეგაწყინოთ, გეტყვით, რომ საქმე ეხება ხვევნა-კოცნას, რომლითაც ჩვენ ვეგებებით მეგობრებს, ნაცნობებს, ამხანაგებს, ძველ თუ ახალ მეზობლებს, თანამშრომლებს და ა. შ.

რა თქმა უნდა, იმაში საძრახისი არაფერია, რომ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები დროდადრო ერთმანეთს ლოყაზე ეამბორებიან ხოლმე. ეს მათი პირადი საქმეა. მეტადრე, თუ დიდი ხნის განმავლობაში, ვთქვათ, რამდენიმე თვეს თუ წელიწადს არ უნახავთ და ბუნებრივია, მოენატრათ ერთმანეთი. ასეთ შემთხვევაში მოულოდნელი (ან თუნდაც დაგეგმილი) შეხვედრა, ალბათ, ბუნებრივ რეაქციას გამოიწვევს ემოციების დაუფარავი გამოხატვით, რასაც უსათუოდ მოჰყვება გულში ჩახუტება, ვაჟკაცური ხელის ჩამორთმევა, და, რა თქმა უნდა, პირზე კოცნა, ზოგჯერ კი მტლაშა-მტლუშიც.

მაგრამ ახლა ამ ნანატრ შეხვედრებზე როდი მოგახსენებთ. ეს სულაც არ უგულისხმიათ ამა თუ იმ ქვეყნიდან ჩამოსულ უცხოელებს, მათ რაღაც სხვა რამ აღმოაჩინეს.

მამაკაცი და მამაკაცი

თურმე ჩვენში, შეხვედრისას, ყველაზე ხშირად კოცნიან ერთმანეთს მამაკაცები, ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩვენი მეგობრები (ვუწოდოთ მათ საზღვარგარეთელი მეთვალყურენი) თვლიან, — იქმნება ასეთი სტაბილური შთაბეჭდილება, ეს ადამიანები, რომლებიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არიან ნამყოფი და სხვადასხვა ხალხის წესჩვეულებებს იცნობენ, ადასტურებენ, რომ თბილისს მტკიცედ უკავია პირველი ადგილი მსოფლიოში ამბორის მიხედვით, რომლითაც, შეხვედრისას აჯილდოებენ ერთმანეთს მამაკაცები, და რომელსაც, როგორც წესი, თან მოსდევს ხელის ჩამორთმევა. ერთმა შვედმა ჟურნალისტმა, შარშან რომ იყო თბილისში, ხუთ დღეში ბევრი რამ ნახა, მაგრამ როგორც აღიარა, ყველაზე, მეტად ატკინა გული ერთ-ერთი ქალაქის ცენტრში ხის ტოტების ჩეხვამ და ყველაზე მეტად გააოცა მამაკაცების სავალდებულო ხვევნა-კოცნამ. შვედი საგონებელში იყო ჩავარდნილი მისი თანმხლები კოლეგის შემყურე, რომელიც სამი დღის განმავლობაში ერთი და იგივე ნაცნობ-მეგობრებს ყოველ შეხვედრაზე კოცნიდა და ისინიც დაუშურებლად უბრუნებდნენ ამბორს.

ამ რამდენიმე დღის წინათ მარჯანიშვილის თეატრში ყოფნისას ჩვენს ცნობილ მსახიობს ოთარ მეღვინეთუხუცესს შევხვდი და სწორედ ამ თემაზე ჩამოვუგდე სიტყვა. ბატონმა ოთარმა ხელი გაშალა და მითხრა, ამ ჩვეულებას, ალბათ, ერთი მხრივ, პირობითი ხასიათი აქვს, ხოლო მეორე მხრივ, იგი ადგილობრივ ურთიერთობათა რაღაც სპეციფიკური თავისებურებებით არისო დაპროგრამებული.

მამაკაცების ამბორი, რომელიც, თითქოსდა ჩვენს თბილ პირად ურთიერთობას და ჩვენს საერთო გულითადობას გამოხატავს, გვერდიდან მთლად ლამაზად არ გამოიყურება. მეტადრე, თუ ერთი და იგივე კაცი, რომელსაც რამდენიმე საათის წინ დასცილდი და კვლავ შეხვდი, ისევ გიშვერს ლოყას საკოცნელად, ძველად, მრავალი წლის წინათ, საქართველოში, და არა მარტო ჩვენში, იყო ტრადიცია, როდესაც შუბლით ეხებოდნენ ან ეამბორებოდნენ მხარზე მეგობარს თუ ძმადნაფიცს, და ეს წარმოადგენდა ორმხრივი პატივისცემისა და მადლიერების, მეგობრობის ნიშანს. ახლა მე თვითონაც ზოგჯერ იძულებული ვარ, ასეთივე რეაგირება მოვახდინო ნაცნობთან შეხვედრისას, რომელსაც საკოცნელად, გამოუწევია ტუჩები. რა თქმა უნდა, სულ სხვაა, როდესაც ერთმანეთს შეხვდებიან დიდი ხნის უნახავი მეგობრები და ასევე სულ სხვაა, როდესაც ისინი ყოველდღიურად ხვდებიან ერთმანეთს.

„საერთოდ, ევროპელები, — თქვა შემდეგ ბატონმა ოთარმა, — ძალზე მგრძნობიარედ რეაგირებენ ამგვარ რამეზე. მათთვის ეს გაუგებარია, ერთხელ, საზღვარგარეთ, ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში ყოფნისას, გარკვეული პერიოდის მანძილზე ვხვდებოდი ადამიანს, რომელთანაც კარგი ურთიერთობა დამიმყარდა. როდესაც თბილისში მოვემგზავრებოდი, გამოთხოვებისას, გულითადად ჩამოვართვი ხელი და ჩვენში დამკვიდრებული ჩვეულებისამებრ საკოცნელად გავიწიე. უნდა გენახათ, რა გაოცებული დარჩა“, მათ ურთიერთობაზე ამ ეპიზოდს, რა თქმა უნდა, არ მოუხდენია ნეგატიური გავლენა, მაგრამ რეაქცია, როგორც ოთარ მეღვინეთუხუცესს მიაჩნია, თავისთავად, ნიშანდობლივი იყო.

დანარჩენი შემთხვევები

ქალები, თუმცა, გაცილებით უფრო სენტიმენტალურ არსებებად ითვლებიან, შეხვედრისას ხშირად კოცნიან ერთმანეთს, მაგრამ ამასთან, არა ისე განურჩევლად, როგორც მამაკაცები. ჯერ ერთი, კოცნიან მხოლოდ კარგ ნაცნობებს და მეორეც, ეს შეხვედრის სიხშირეზეა დამოკიდებული. რაც უფრო ხშირად ხვდებიან, მით უფრო ნაკლებად კოცნიან. თუმცა, ბევრი რამ არის დამოკიდებული ასაკზეც. რაც უფრო ახალგაზრდები არიან გოგონები, მით უფრო ხშირად უშვერენ ერთმანეთს ლოყას. და ამას, როგორც დაკვირვება მოწმობს, ყველაზე ინტენსიურად აკეთებენ უფროსკლასელი და სტუდენტი გოგონები.

ქუჩაში, ტროლეიბუსში, თეატრში, სოლიდურ დაწესებულებაში, ქალაქის ცენტრსა თუ გარეუბანში კოცნა ჩვეულებრივი რამ არის. თანაც, ისინიც კი, ვისაც სულ არ ეხატება გულზე პროშტნაობა, იძულებული არიან, მიუშვირონ ლოყა ნაცნობს. არის სხვა, მადლობა ღმერთს, შემთხვევებიც, როდესაც ადამიანები არ მიმართავენ ესოდენ სპეციფიკურ ჟესტს, მაგრამ უამისოდაც გრძნობენ დაუფარავ სიმპათიას და პატივისცემას და ამ დროს, იმდენად გულწრფელნი არიან ერთმანეთის მიმართ, რომ აქ, ყოველგვარი ფარისევლობა გამორიცხულია. მომიტევოს მკითხველმა, მაგრამ გვაქვს ერთგვარი საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ფარისევლობა და პირფერობა ყველაზე მეტად არის იქ, სადაც ხელის ჩამორთმევას თან სდევს „რიტუალური“ ხვევნა-კოცნის მთელი სერია.

საიდუმლო როდია, რომ აღმოსავლურ ბაზარზე მოზღვავებული დასავლური ფილმები, უწინარეს ყოვლისა, ისინი, რომლებიც სუპერმენებს ეძღვნება, ყოველთვის როდი ახდენს სასიკეთო გავლენას ყმაწვილთა გონებასა და გულზე მკვლელობის, ძალადობის თუ ეროტიკის აქტების მეტისმეტი სიუხვით. ეს ის უკიდურესობაა, რომელსაც უმჯობესია საერთოდ ვერიდოთ და, რომელსაც ყველაზე უკეთ აღიქვამს მხოლოდ ჰარმონიული სულისა და სტაბილურად ჩამოყალიბებული შემოქმედებითი გემოვნების მქონე ადამიანის მყარი ინტელექტი. მასზე ეს ვერ ახდენს შესამჩნევ გავლენას. ასეთი ფილმები მისთვის ერთგვარი საბაბია საიმისოდ, რომ შეისწავლოს ისეთი მოვლენა, როგორიც არის კინო. მაგრამ არის ფილმები, რომელთა გმირები შემთხვევით როდი ხდებიან მიბაძვის ნიმუშები. მაგრამ, ვფიქრობ, ისინი არანაკლებ მისაბაძია იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ შეხვედრისას ერთი მამაკაცი მეორეს არ კოცნის. კოცნიან მხოლოდ და მხოლოდ ქალებს, ისიც გარკვეულ ვითარებაში, და არა წარამარა. ჩვენში კი, ახალგაზრდები, ისინიც კი, ვისაც მეტსახელად „რემბოს“ ეძახიან, ერთობ სპეციფიკურად იქცევიან.

გენეზისი: საიდან მოდის ყოველივე ეს?

შემჩნეულია, რომ 50-იანი წლების თბილისში, ამდენი ხვევნა-კოცნა არ იყო. ერთმა უფროსმა ამხანაგმა მითხრა, რომ თბილისში, კოცნის ეს ჩვეულება მოულოდნელად აღმოაჩინა 1961 წელს, როდესაც ჯარიდან ჩამოვიდა. ეს დაკვირვება, რომელიც 60-იანი წლების დამდეგს უკავშირდება, ემთხვევა სხვა თვალსაზრისებსაც. ამრიგად, წელს შეგვიძლია შევაჯამოთ მამაკაცთა შორის პირველი ამბორის შემდეგ გამოვლილი 35 წლის პერიოდი.

ზოგიერთი დაკვირვებული პირის აზრით, რომლებიც თავიანთ დასკვნებს მიახლოებულად თვლიან, მამაკაცების სისტემატური კოცნაობა პროვინციიდან შემოვიდა. თბილისში ჩამოდიოდნენ აქ მცხოვრები პარტიული და საბჭოთა მუშაკების, მეცნიერების, ხელოვნების მოღვაწეთა, მწერალთა ნათესავები, მეგობრები და ნაცნობები. ერთნი უმაღლეს სასწავლებელში აბარებდნენ, მეორენი იწყებდნენ მუშაობას საწარმოებში. დაიწყო სოფლებიდან და რაიონებიდან ქალაქად მიგრაციის პროცესი. ნათესავთან ჩასვლისას ან თბილისში უკვე ჩამოსული ნაცნობის შეხვედრისას ახალჩამოსულს აღფრთოვანება ეუფლებოდა, იგი ვერ მალავდა სიხარულს და აღარ სჯერდებოდა მარტოოდენ ხელის ჩამორთმევას, საკოცნელად მიიწევდა, ასე გავრცელდა თანდათან ქალაქში ეს ჩვეულება. და მას ერთგვარი კლანური ქვეტექსტი აქვს. ასე რომ, სანამ კინემატოგრაფიული სამყარო აღნიშნავს ჰოლივუდში იმ პირველი მხატვრული ფილმის გამოჩენის 100 წლისთავს, რომელმაც ახალგაზრდა, მიჯნურთა პირველი კოცნა აღბეჭდა, ჩვენ მშვიდად შეგვიძლია აღვნიშნოთ, მეორე თარიღი — 35 წლისთავი.

რას ფიქრობენ ამაზე მედიკოსები?

ეს ყველაზე მოკლე თავი იქნება.

მამაკაცთა ხშირი კოცნაობის პრობლემისადმი მიძღვნილ დისკუსიაზე შეგვიძლია მოვიწვიოთ ფსიქოლოგები, ლიტერატორები, სოციოლოგები, სოციალური ეთიკისა და საყოფაცხოვრებო ეტიკეტის სპეციალისტები, მაგრამ, ამასთან, უდავოდ სასარგებლო იქნებოდა მედიკოსთა მონაწილეობაც. განსაკუთრებით ვირუსოლოგების და ჰიგიენისტებისა! და უსათუოდ — მორიგი ზამთრის დადგომამდე. ვიმედოვნებ, რომ ისინი აუცილებლად გვეტყვიან თავიანთ თვალსაზრისს.

ნოდარ გროლაძე.

* * *

შეიძლება ზოგიერთ მკითხველს ეს პუბლიკაცია ერთგვარ ხუმრობად მოეჩვენოს. მაგრამ სახუმარო აქ არაფერია. ისე უბრალოდ როდია საქმე, როგორც შესაძლოა, ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს. ეტყობა, ამაზე ღირს დაფიქრება. ეჰეჰ, იუდას ამბორიც გაგვახსენებინა!

მართლა დუქნად რომ არ ვიქცეთ!

გახსოვთ, ალბათ, გენიალური ვაჟა-ფშაველას საუკუნისწინანდელი შეძახილი — „ქვეყანა იქცა დუქნადა“!

აბა, მაშინ რა იყო, ქვეყანა დუქნად და ბაზრად თუ იქცა, ახლა იქცა! უდიდესი ინტელექტუალური პოტენციის მქონე ერი ლამის ყიდვა-გაყიდვის, ანუ წვრილმანი ვაჭრობის მონად იქცეს...

მრავალგზის გვითქვამს და კვლავაც ვიმეორებთ: ეს მარტო საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ეტაპის ბრალი არ არის, ეს ყალბად გაგებული დემოკრატიათავისუფლებისა და ეროვნულ-დამანგრეველი მოძრაობის ბრალია.

ძალიან რადიკალური, მძიმე შეფასებაა, მაგრამ რას იზამთ — ბოლო წლების სულისშემძვრელი კონკრეტული ფაქტები მეტსაც ლაღადებენ!

გამოსავალი მაინც არსებობს, გადარჩენის გარანტია მაინც არის, რადგან საქართველო მკვდრეთით აღმდგარი ქვეყანაა, ქართველი კაცი კი ყოველგვარი ჭირის გადამტანია.

დღეს თუ ხვალ უსახური, ქაოსური, უმართავი ბაზრობის სენსაც დავძლევთ.

არ გაგიკვირდეთ და, ამ ბოლო ხანებში პრინციპული, ნამუსიანი, წესრიგის მოყვარული ბაზრის დირექტორებიც კი გამოჩნდნენ (კონკრეტულ ფაქტებზე შემდეგ მოგახსენებთ).

ახალი ლოტკინის ბაზრობის ხელმძღვანელები ცდილობენ ყველაფერი აფურში მოიყვანონ და ობიექტი მერე აამოქმედონ.

დედაქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობა გვპირდება, რომ ყველაფერს გააკეთებს ბაზრობებზე წესრიგის დასამყარებლად;

დედაქალაქის რაიონების გამგეობები და პოლიციის სამმართველოები ერთობლივ კონკრეტულ გეგმებს ადგენენ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე ელემენტარული სანიტარული, საჯარო და სამოქალაქო წესრიგის აღსადგენად;

და რაც მთავარია, დედაქალაქის მერია, თბილისის მუნიციპალიტეტის სამომხმარებლო ბაზრისა და მომსახურების დეპარტამენტი გვარწმუნებს, რომ მთლიანად გაემიჯნება მოჩვენებითობას, კამპანიურობას და ბოლომდე იბრძოლებს ამ სფეროში დედაქალაქის პრესტიჟისა და ღირსების აღსადგენად.

სწორედ ამ რწმენით დავბრუნდით საგამგებო თათბირიდან, რომელიც 18 მაისს გაიმართა თბილისის მერიაში და, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ბოლო ხანს გამოქვეყნებული კრიტიკული წერილების („წუმპეზაზარი“, „როდემდე“, „დავწმინდოთ მოჩვენებითობა“) განხილვას მიეძღვნა. თათბირს უძღვებოდა მუნიციპალიტეტის სამომხმარებლო ბაზრისა და მომსახურების დეპარტამენტის თავმჯდომარე, ვიცე-პრემიერი მელორ ტყეშელაშვილი.

ჩვენი გაზეთი კონტროლს დაუწესებს ამ ურთულესი და უმძიმესი პრობლემის მოგვარების საქმეს და ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ „დუქნად ქცეულ ქვეყანაში“ გეგმაზომიერი, თანმიმდევრული წესრიგი დამყარდეს და ვაჭრობა ცივილიზებულ წესებს დაემორჩილოს.

სპარტაკ ქოგულია,
ოთარ ხუციშვილი.

ჩოგანი

გამარჯვების დღის აღსანიშნავად

დედაქალაქის მუშტაიდის კულტურისა და დასვენების პარკში დიდუბის გამგეობის, განათლების განყოფილებისა და სპორტკომიტეტის ინიციატივით გაიმართა გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი რაიონის პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნურ კროსში, რომელშიც 15 გუნდის 210 სპორტსმენი მონაწილეობდა.

გთავაზობთ ასპარეზობის გამარჯვებულთა და პრიზიორთა ნუსხას:

I ჯგუფი (კოლეჯები და უმაღლესი სასწავლებლები)

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო აკადემია, პოლიტექნიკური კოლეჯი, რკინიგზის კოლეჯი.

II ჯგუფი (საშუალო სკოლები)

22-ე, მე-19, 166-ე საშუალო სკოლები.

პირადი ჩათვლა

ვოგონები (1 კმ). მ. ლომაძე (134-ე საშუალო სკოლა), მ. ტოგონიძე (მე-11 საშუალო სკოლა), ნ. ეპიტაშვილი (155-ე საშუალო სკოლა).

ვაჟები (2 კმ). პ. ჩოხელი (პოლიტექნიკური კოლეჯი), დ. ლობაძე, გ. გოგსაძე (ორივე — სამხედრო აკადემია).

გარბენის მთავარმა მსაჯმა, ეროვნული კატეგორიის არბიტრმა ნუზა გაგოშიძემ დახმარებისათვის მადლიერების გრძნობით მოიხსენია მუშტაიდის პარკის დირექცია.

გიორგი ჭანიშვილი.

გედევან ბერაიას ოდისეა

წარმოგიდგენთ გედევან ბერაიას, საქართველოს მოქალაქეს, თბილისელ მძღოლს, დიდი სპორტის ერთ-ერთ გულშემატკივარს, რომელმაც მიზნად დაისახა პირველი ოლიმპიური თამაშებისა (1896, ათენი) და ამ თამაშების პროგრამაში მარათონული რბენის შეტანის ას წლისთავს მიუძღვნას ასი მარათონული სვლა (42 კმ და 195 მ×100) და 1996 წლის 9 მაისიდან XXVI ოლიმპიური თამაშების ჩირაღდნის ანთებამდე ჩქარი, ყოველდღიური სვლით დაძლიოს ერთი, ერთნახევარი და მეტი მარათონული დისტანცია, სულ 4219,5 კმ ანუ კავკასიის ჯორჯიიდან ამერიკის ჯორჯიამდე მანძილის მესამედი.

მისი მარშრუტია: საქართველო-თურქეთი-საბერძნეთი-იტალია-შვეიცარია-საფრანგეთი-ამერიკის შეერთებული შტატები, უფრო ზუსტად: თბილისი-ქუთაისი-ფოთი-ბათუმი-ტრაპიზონი-ანკარა-ათენი-რომი-ბერნი (ლოზანა)-პარიზი-ვაშინგტონი-ატლანტა.

გედევან ბერაია 41 წლისაა. იცის ქართული და რუსული ენები. სწავლობს ინგლისურ ენას. ჰოლშვილიანია: მეუღლე ნინო გაბიტაშვილი მუსიკის მასწავლებელია, შვილი გიორგი 4 წლისაა. ისინი ამ უჩვეულო მოგზაურობის პირველი გულშემატკივრები არიან... გაიარა საექიმო შემოწმება. ამ გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მას შეუძლია შორი მანძილების ფეხით „დალაშქვრა“ ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ მტკიცედ იქნება დაცული დასვენებისა და კვების რეჟიმი.

წინასწარ მადლობას ვუძღვნით ყველა პიროვნებასა თუ ორგანიზაციას, ვინც სულიერ და ფიზიკურ მფარველობასა და შესაძლო მორალურ და მატერიალურ თანადგომას გაუწევს მას და ამით მსოფლიო ოლიმპიური თამაშებისა და სპორტული იდეალებისადმი სიყვარულს გამოხატავს.

პატივისცემით,

ნონა გაფრინდაშვილი.
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

კახი ასათიანი,
საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

რომანოზ სვანიშვილი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეაბილიტაციისა და სპორტული მედიცინის კათედრის გამგე, პროფესორი.

• • •

ბატონი გედევან ბერაია უკვე გზაშია... ერთი კვირის განმავლობაში მან უკვე 7 მარათონული სვლა განახორციელა.

წარმატება ვუსურვოთ!

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის“ აქციონერთა კრების შესახებ

1996 წლის 4 ივნისს, 15 საათზე მოწვეულია სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.

დღის წესრიგი:

სააქციო-კომერციულ ბანკ „საქართველოს ბანკის“ საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება შედგება სააქციო-კომერციული ბანკის „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისში (თბილისი, პუშკინის ქ. № 3).

„საქართველოს ბანკის“ დირექტორთა საბჭო.

გთავაზობთ
საწერ, საბეჭდ და
ქსეროქსის
ქაღალდს
უნაღდო ანგარიშსწორებით,
ადგილზე მიწოდებით.
☎ 38-91-64; 39-84-05

გახსენება

სოსო [illegible]

ჩვენო ერთად-ერთო შვილო! მოვიდა სასწავლო წლის დამთავრების დღე. მეხუთე კლასის მოსწავლე უნდა გამხდარიყავი. ნათია მასწავლებელი დიდი სიყვარულით უნდა დაგმშვიდობებოდა, ჩაგიკრავდა გულში და გეტყოდა: ჩემო ეშმაკუნა ბიჭო!.. როგორ გამოაკლდი ყველას, შენს საყვარელ ამხანაგებს იკიკოს, ნათიას, დათოს, ნინოს, გივიკოს, რომლებიც ცრემლიანი თვალებით იტყვიან სოსო აღარასოდეს იქნება ჩვენთანო, მარტო სურათით თუ გავიხსენებთო. ჩვენ კი რისი იმედი გვაქვს ნეტავ, რას ველოდებით, თავს ვიტყუებთ, გეძებთ, მაგრამ, ვაი, არსად ხარ. შენი მეზობელი ბავშვები დიდი გულისტკივილით გიგონებენ. რითი ვინუგეშოთ თავი მე, მამაშენმა და რობიკო ბიძიამ. შენი სურათები მონატრებას ვერ შველიან, პირიქით ამძაფრებენ იმ აუტანელ გრძნობას, რომელსაც უშენობა ჰქვია. ძალიან, ძალიან გვენატრები, დრო არ ყოფილა ასეთი ტკივილის მკურნალი, დროს არ შესძლებია დაკოდილი გულის მოშუშება. როგორ დაგვჩაგრე, გაგვანადგურე, ჩაგვიმწარე სიცოცხლე, მაგრამ ჩვენ მაინც გჯობივართ, რადგან ცოცხლები ვართ, თუმცა ტანჯვით უნდა დავლიოთ სული.

ვაი რამეა სიკვდილი,
ვერ არჩევს ჩვენი გონება,
შიგა და შიგ ამოარჩევს,
რომელიც მოეწონება.

და შენც იქ იძინე შვილო, რაღა დაგვრჩენია, მოვალთ აგინთებთ სანთლებს, ყვავილებით შეგამკობთ და ღმერთს შევთხოვთ შენი სული ნათელში ამყოფოს.

დედა ნუნუ, მამა გურამი, ბიძა რობიკო.

ნანა სულუხია
მამუკა ნადარეიშვილი

შავნაბადაზე, ახალგაზრდულ ქალაქთან მდებარე სასაფლაოზე, თქვენს სულისშემძვრელ საფლავთან ხშირად ჩერდებიან გამვლელები და გვითანაგრძნობენ... აქ ჩვენი ოჯახების ორი მოუშუშებელი ტკივილი, ორი ფრთამოტეხილი ოცნება, ორი ულამაზესი სხეული განისვენებს. მათი უმანკო სული ამ ორიოდე წლის წინათ, 23 ნოემბერს, გიორგობა დღეს მიიბარა მაღალმა ზეცამ... ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, ერთადერთი პაწია ბიჭით, შებინდებისას, მანქანით შინ ბრუნდებოდით. სანაპიროზე ვომბდარმა ტრაგიკულმა ავტოავარიამ ცოლ-ქმარი გიმსხვერპლათ, პატარა ლაშიკო, უფლის ნებით, დაიმტვრა, მაგრამ გადარჩა! მალე ის — ჩვენი ნუგეში და იმედი — 5 წლის გახდება, თქვენს სახელზე ვზრდით, ველოლიავებით.

ჩვენო მამუკა და ნანა — მესამე წელიწადია ვილვრებით ცრემლად, მესამე წელიწადია თქვენს სურათებს ვეფერებით, სანთლებს გინთებთ, მაგრამ დარდი და ვარამი ვერ შევიმსუბუქეთ. მართლაც, რა მუხთალი ყოფილა ეს ხანმოკლე წუთისოფელი...

20 მაისს შენი დაბადების დღეა, ნანა, 27 წელიწადი შეგისრულდებოდა... ჩვენ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ ამ დღეს უშენოდ, კიდევ ერთხელ მოვალთ შენს საფლავზე, მაგრამ ვაი, რომ შენ და შენი საფიცარი მეუღლე ვერაფერს გაიგებთ...

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს თქვენი ლამაზი სული, ღმერთმა ჯანმრთელობა და სიკეთე არ მოაკლოს თქვენს ერთადერთ ძეს — ლაშას!

მსუბუქი იყოს თქვენთვის თბილისის მიწა.

ნადარეიშვილებისა და სულუხიების ოჯახები.

შოთა კიკალიშვილი

რამდენიმე დღეში სამოცდაშვიდი წლისა გახდებოდი. მრავალი წინააღმდეგობითა და სიძნელით სავსე ცხოვრების გზა ისე კაცურად განვლე, ცოცხალი რომ იყო, უკან მოხედვისა არ შეგრცხვებოდა. და ჩვენ, შენს დანატოვრებს, გვეამაყება, რომ მარტო ახლობლობაში კი არა, ყველგან, სადაც გიმუშავნია — მშობლიურ მარტვილში, ფოთში, აბაშასა თუ სხვაგან, ერთნაირად კეთილი სახელი და ნათელი ხსოვნა დატოვე...

საკუთარი ნაგრამის გამრავლებას, საუბედუროდ, სრულად ვერ მოესწარი, მაგრამ შენს სულს უთუოდ ნათლად მოეფონება ის, რომ შენი გამრავლებული ოჯახის წევრები ღირსეულად და მყარად ადგანან შენს გაკვალულ გზას.

ღმერთმა კვლავაც ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენთვის მარად დაუვიწყარო ძვირფასო ადამიანო!

მეუღლე გოგონა კოკაია, შვილები ნათო, ხათუნა, ბედუნი.

საქართველოს კულტურის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი რეჟისორი
მიხეილ თუმანიშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი რეჟისორი, სახელმწიფო და მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, დრამის რეჟისურის კათედრის გამგე, პროფესორი
მიხეილ თუმანიშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი რეჟისორი და დიდი თეატრალური მოღვაწე
მიხეილ თუმანიშვილი
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თანამედროვეობის დიდი რეჟისორი
მიხეილ თუმანიშვილი
და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. რენტგენო-რადიოლოგიის განყოფილების კომპიუტერული ტომოგრაფიის ჯგუფის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის — 1,0 საშტატო ერთეული, მედ. მეცნ. კანდიდატი.
2. რენტგენო-რადიოლოგიის განყოფილების კომპიუტერული ტომოგრაფიის ჯგუფის მეცნიერ თანამშრომლის — 1,0 საშტატო ერთეული.
3. კლინიკური განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომლის — 1,0 საშტატო ერთეული.
4. ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის განყოფილების უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის — 0,5 საშტატო ერთეული.
5. მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის ჯგუფის წამყვანი მეცნიერ თანამშრომლის — 1,0 საშტატო ერთეული, მედ. მეცნ. კანდიდატი.

საბუთების მიღების ვადაა ერთი თვე კონკურსის გამოცხადებიდან.
კონკურსში დაიშვებიან ქ. თბილისის მცხოვრებნი.

მისამართი: 380012, თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №13
ტელ: 99-34-38, 35-20-49.

ყურადღება!

მიმდინარე წლის 29 მაისს იწყება საქართველოს პირველობა კიკბოქსინგში 18 წლამდე და უფროსი ასაკის სპორტსმენებში. დარეკეთ: 99-70-04; 31-02-79.

კიკბოქსინგისა და ტაიბოქსის ფედერაცია

მორიგე რედაქტორი სპარტაკ ქოგულია.

გამომცემელი შპს „პრესა“
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66434. ტელ.: 99-73-24.
მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.